პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 291 (12803)

კვირა, 15 დეკემბერი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

საგჭოთა მშენებლების შესანიშნავი გამარჯვება

სკკპ ცკ-ის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ მიულოცეს საბჭოთა სპეციალისტებსა და საავტომობილო გზა „სალანგის“ მშენებელთა მთელ კოლექტივს (ეს გზა საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება ავღანეთში) შესანიშნავი გამარჯვება — ვადამდე, 1963 წლის 5 დეკემბრისათვის 2,7 კილომეტრის სიგრძის გვირაბის გაყვანა ჰინდიკუშის მთაგრეხილზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს სოლიგორსკის 1-ლი კალიუმის კომბინატის მშენებელთა, მემონტაჟეთა, მალაროელთა და ქიმიკოსთა სახელოვან კოლექტივს დიდი შრომითი გამარჯვება — კალიუმის კომბინატის პირველი რიგის ვადამდე ამუშავება.

მსხვილი საწარმოს ამუშავება, რომელიც მინერალურ სასუქებს აწარმოებს, ნათქვამია მისასალმებაში, ბელორუსი მშენებლების, მემონტაჟეების, მალაროელებისა და ქიმიკოსების შესანიშნავი წვლილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაჩქარებული აღმავლობისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში. ეს შრომითი გამარჯვება შესანიშნავი საჩუქარია სამშობლოსადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აღსანიშნავად.

პარტიისა და ხალხის მთელი ძალები მოვახმაროთ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1963 წლის 13 დეკემბერს

ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას ამთავრებს. ვფიქრობ გამოვხატავ საერთო აზრს, თუ ვიტყვი, რომ ეს იყო ჩვენი ლენინური პარტიის შესანიშნავი დიდი თათბირი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ საკითხზე. **(ტაში).** ეს პლენუმი ერთხელ კიდევ დასტურებს, რომ ჩვენი პარტია მიზანდასახულად მუშაობს XXII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის განსახორციელებლად.

აქ გამოსულმა ამხანაგებმა განსაკუთრებული ერთსულოვნებით დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წინადადებას ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ.

პლენუმზე ჩვენს წინაშე გადაიშალა ნამდვილად გრანდიოზული სურათი იმისა, თუ რა შესაძლებლობანი აქვს ჩვენს ქვეყანას დიდი ქიმიის შექმნისათვის. ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

აქ ძალიან საინტერესოდ გამოვიდნენ პარტიული, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები. მეცნიერები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი. ეს გამოსვლები მოწმობენ ჩვენი პარტიის კიდევ ერთ უდიდეს მიღწევას. საბჭოთა ქვეყანას ამჟამად ჰყავს შესანიშნავი კადრები, ისეთნი, რომლებსაც უნარი შესწევთ შეასრულონ კომუნისტური მშენებლობის ყველაზე დიდი და ყველაზე პასუხსაგები ამოცანები. **(ტაში).**

განვიხილავთ რა პარტიისა და ხალხის დიდ ამოცანებს, ჩვენ ყოველთვის მივმართავთ ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. როგორ გაიხარებდა ილიჩი, მას რომ მოესმინა იმ დიდი საუბრისათვის, რომელიც ჩვენს პლენუმზე გაიმართა, მას რომ დაენახა, თუ როგორ გაიზარდა ჩვენი სამშობლოს ძლიერება, რა უდიდესი მატერიალური სახსრები აქვს ახლა საბჭოთა ხალხს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს რომ დაენახა ამ დარბაზში მსხდომი ადამიანები, მას რომ მოესმინა მათი გამოსვლები, უთუოდ იტყოდა: „ღირდა ცხოვრება და ბრძოლა. ტყუილად არ გვიშრომია!“ **(მქუხარე ტაში).**

და ეს ნამდვილად ასეა. ახლა ყველა ხედავს, რომ ლენინის იდეები, ილიჩის ანდერძი ცოცხლობს და იმარჯვებს. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ მოგაგონოთ ზოგიერთი მოსაცემი, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი ეკონომიკის ორდას და ქიმიური მრეწველობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას.

როგორც მოხსენებაში იყო აღნიშნული, იმისათვის, რომ ქიმიის საშუალებით ხალხისათვის შეექმნათ კიდევ უფრო მეტი სიმდიდრენი, საჭიროა შვიდ წელიწადში ქიმიური ინდუსტრიის განვითარებასა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ქიმიზაციაში დავაბანდოთ 42 მილიარდი მანეთი. ეს კოლოსალური სახსრებია. მაგრამ მათი გამოყოფა და ათვისება ჩვენ ახლა შეგვიძლია.

დასახული პროგრამა რომ შეესრულოთ, ამისათვის საკმაო სახსრები გვაქვს. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვისაც სურს პატიოსნად გაერკვეს ჩვენი კაპიტალდაბანდებების სტრუქტურაში. საშუალოდ ჩვენ მოგვიხდება ყოველწლიურად დავაბანდოთ ქიმიის განვითარებისათვის 6 მილიარდი მანეთი. მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გამოვყოფთ 32 მილიარდ მანეთს. კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა შვიდი წლის განმავლობაში მიმდინარე წლის დონეზეც რომ დარჩეს, მაშინაც კი ყველა სხვა საჭიროებას, გარდა ქიმიისა, 26 მილიარდი მანეთი მოხმარდება.

მაგრამ ასე ანგარიში არ შეიძლება. ჩვენი შესაძლებლობანი კაპიტალურ დაბანდებებში პროგრესიულად გაიზრდება. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკებს მიაჩნიათ, რომ 1970 წელს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა წელიწადში 50-55 მილიარდ მანეთს მიაღწევს. დანახარჯები ქიმიისათვის 1970 წელს განისაზღვრება დაახლოებით 8.5 მილიარდი მანეთით წელიწადში. ამრიგად, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის გამოიყოფა 46 მილიარდ მანეთზე მეტი.

საჭიროა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მიღებული საერთო წმინდა შემოსავალი 1964-1970 წლებში თითქმის 57 მილიარდი მანეთი იქნება, ხოლო კაპიტალდაბანდებანი ამავე პერიოდში 42 მილიარდი მანეთი.

როგორც უკვე აღინიშნა მოხსენებაში, ქიმიის განვითარებისათვის შვიდ წელიწადში გაწეული მთელი დანახარჯები არა მარტო ანაზღაურდება, არამედ ჩვენს ქვეყანას დაახლოებით 15 მილიარდ მანეთ მოგებას მისცემს.

ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ ქიმიური ინდუსტრიის განვითარების დასახული პროგრამა განხორციელდება ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ზრდისათვის ზიანის მიუყენებლად. ზოგი ვინმე დასავლეთში ფიქრობს, რომ თუ ჩვენ ქიმიას ვავითარებთ, თავდაცვა გვავიწყდება. არა, ქიმია თავისთავად, ხოლო თავდაცვა თავისთავად. სართლაც, დღეს მე წავიკითხე, რას წერს ბურჟუაზიულ პრესაში ზოგიერთი ვინმე: ის, ვინც უფრო ღრმად ჩასწვდება ხრუშჩოვის მოხსენებას, მიხვდება, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა არ ანელებენ ყურადღებას ეკონომიკის სხვა დარგებისადმი.

თვით ქიმიური მრეწველობა, თავისი განვითარების კვალობაზე, სულ უფრო მეტი მასშტაბებით შექმნის დამატებით დაგროვებას გაფართოებული კვლავწარმოებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება უფრო მეტ შესაძლებლობებს მოგვცემს მთლიანად ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

ყველაფერი, რაც დავსახეთ, ჩვენს ხალხს შეუძლია შეასრულოს. მთავარია გონივრულად გამოვიყენოთ დრო და საშუალებანი, რომლებიც ახლა აქვს ჩვენს პარტიას, ხალხს, თავისი შრომით რომ შექმნა ასეთი შესაძლებლობანი.

ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი მოწონებით, დიდი აღმავლობით ხვდება გეგმებს, რომლებსაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი განიხილავს. **(ტაში).**

ამ დღეებში მსოფლიო პრესა, ჩვენი მეგობრები და მტრები — თვითეული თავისი პოზიციიდან შეფასებას აძლევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

მეგობრებისათვის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დიდი სიხარულია. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მილიარდიანი ასიგნობანი, რომელთა გამოყენებას ვაპირებთ დიდი ქიმიის შესაქმნელად, ეს არის მილიარდობით მახეთი ეკონომიკის ახალი ძლავრი ზრდისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ეს არის სიუხვის მილიარდები. ახალი დადასტურება იმისა, თუ რა უპირატესობანი აქვს წარმოების სოციალისტურ წესს, რომლის მიზანია ადამიანის ყველა მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება.

მტრები თავიანთი პოზიციებიდან ეხმაურებიან. აქ დაბნეულობაც არის და ღვარძლიც. მაგრამ კაპიტალისტური სამყაროს ის წარმომადგენლები, რომლებსაც გონება არ დაუკარგავთ, იძულებული არიან აღიარონ, საბჭოთა კავშირი უდიდეს მშვიდობიან მშენებლობას განაგრძობს და დასახულ გეგმებს. საბჭოები ალბათ შეასრულებენო, შეასრულებენ, ბატონებო, შეასრულებენ „უალბათოდ“! **(ტაში).**

ეს უკვე ახალი, უფრო საღი მსჯელობაა. წინათ კლასობრივი სიძულვილით დაბრმავებული ჩვენი მოწინააღმდეგენი საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების გეგმების ჩაფუშვას წინასწარმეტყველებდნენ. ახლა მათ უკვე ჩაიკმიდეს ხმა. **(ტაში).**

ქიმიურ მრეწველობას რომ ვავითარებთ, უარს როდი ვამბობთ თანამშრომლობაზე კაპიტალისტური ქვეყნების ფირმებთან, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ შეკვეთები ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე. ეს აღინიშნა მოხსენებაში. მაგრამ ამ ნათელმა წინადადებებმა საბჭოთა კავშირის ზოგიერთი საზღვარგარეთელი არაკეთილმოსურნის ის მისწრაფება გამოიწვია, რომ დაამახინჯონ ჩვენი პოზიცია. ზოგს მიაჩნია, რომ ეს ჩვენი წინადადებანი ნაკარნახევია იმით, რომ საბჭოთა კავშირს არ გააჩნია სახსრები ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. სხვა, ყველაზე გაბოროტებული მოწინააღმდეგენი, უფრო შორს მიდიან. აცხადებენ, საბჭოთა კავშირს გრძელვადიანი და სხვა კრედიტები არ უნდა მიეცეს, რათა ქიმიური მრეწველობის განვითარების დასახული პროგრამა ჩაიფუშოსო.

რა შეიძლება ვთქვათ ამას გამო? ნუთუ, ბატონებო, ახლაც, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 47-ე წელს, ისეთ გულუბრყვილობას იჩენთ საბჭოთა კავშირის მიმართ, როგორსაც სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში იჩენდით? ნუთუ ფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირი, ქიმიის განვითარების ვეებერთელა პროგრამას რომ ამუშავებს, უკავშირებს მას შემთხვევითობას, იმას, მოგვცემენ თუ არა კაპიტალისტური ქვეყნები კრედიტებს. თქვენი ასეთი გულუბრყვილობა, ნება მიბოძეთ ვთქვა, თითქმის სისულელეა.

საბჭოთა კავშირი, დიდი ქიმიის განვითარების პროგრამას რომ სახავს, მილიარდებიდან უკანასკნელ კაპიკამდე იმედს ამყარებს საკუთარ ძალებზე. საკუთარ შესაძლებლობებზე, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე. **(ტაში).** ხოლო ის, რომ მივმართავთ კაპიტალისტურ ფირმებს, რომლებსაც სურთ ჩვენთან ვაჭრობა და მოგება საბჭოთა შეკვეთებზე, ეს ქიმიის განვითარების დამატებითი ფაქტორია. ალბათ დასავლეთში მოიძებნება ბევრი საღად მოაზროვნე მეწარმე, რომლებსაც სურთ შეასრულონ ჩვენი შეკვეთები და მიიღონ ამის შედეგად შესაბამისი მოგება.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ მადლობა ვუძღვნა მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს — ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის მუშაობაში. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ როცა ადგილებზე დაბრუნდებით, არა მარტო გააშუქებთ პლენუმის მუშაობას, არამედ მის გადაწყვეტილებათა აქტიური განმხორციელებლები გახდებით. **(ტაში).**

ერთხელ კიდევ მინდა ხაზი გავუსვა იმ აზრს, რომ ახლა ქიმიური ინდუსტრიის განვითარება, სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა პარტიისა და ხალხის საქმიანობისა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. ქიმია როგორც მეცნიერება და როგორც დარგი სახალხო მეურნეობისა საშუალებას გვაძლევს აქტიური გავლენა მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ბევრ დარგზე. მთელი მეურნეობის ქიმიზაციის საშუალებით ჩვენ კიდევ უფრო ავამაღლებთ მის მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს, უფრო ამაღლდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო კულტურა.

პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანის შესრულება, ამოცანისა, რომელიც XXII ყრილობამ დასახა, — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმატებით შეასრულებთ მინერალური სასუქების, სინთეზური ბოჭკოების, ფისების, პლასტიკური მასების წარმოების სწრაფად გადიდების დასახულ პროგრამას. ქიმიური მრეწველობა — ეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, ის გასაღებია, რომელიც გაგვიღებს მატერიალურ სიკეთეთა სიუხვის კარს. **(ტაში).**

დაუფიქრდით, ამხანაგებო, რას მოგვცემს ქიმიური მრეწველობა — ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი და ყველაზე პროგრესული დარგი. უწინარეს ყოვლისა იგი საშუალებას მოგვცემს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა უზრუნველყოთ ისეთი სრულყოფილი მასალებით, რომლებიც შეცვლიან ლითონს, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ნედლეულს, იგი საშუალებას მოგვცემს მრეწველობისა და ტრანსპორტის სულ სხვადასხვა დარგი აღვჭურვოთ თვისებრივად ახალი, უფრო სრულყოფილი მასალებით.

ქიმიური მრეწველობა სოფლის მეურნეობას მისცემს საჭირო მინერალურ სასუქებსა და მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვის საშუალებებს. ეს ბევრად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას სოფლის მეურნეობაში და, რაც მთავარია, შექმნის იმის მტკიცე გარანტიას, რომ ჩვენს ქვეყანაში მოვიყვანოთ უხვი და მყარი მოსავალი, განუხრელად გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქცია. ამის მეოხებით ჩვენ შეგვძლებდა ახლო მომავალში ვაწარმოოთ სოფლის მეურნეობის იმდენი პროდუქცია, რამდენიც საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის.

ქიმიური ინდუსტრიის განვითარებით ჩვენ გავადიდებთ დაგროვებას გაფართოებული კვლავწარმოებისა და მოსახლეობის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

აი რა შესაძლებლობებს ქმნის ქიმიური ინდუსტრია!

ბრძოლა ქიმიის დაჩქარებული განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი საყოველთაო-სახალხო საქმე უნდა გახდეს. დიდი ქიმიისათვის ლაშქრობაში უნდა ჩაებას ყველა საბჭოთა ადამიანი, როგორც იტყვიან, დიდიანპატარიანად. ქიმიური ცოდნა უნდა გავავრცელოთ მასებში. უნდა გარდავქმნათ სასწავლო პროგრამები სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ქიმიის სასწაულს უნდა დავაუფლოთ მინდვრის მშრომელები, მეცხოველეობის, მსუბუქი მრეწველობის მუშაკები, მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები; დავაინტერესოთ ისინი, რომ შეისწავლონ ქიმია.

დიდი ამოცანები დგას ამასთან დაკავშირებით ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშეც. მწერლების, კინოს, ჟურნალ-გაზეთების მუშაკთა მოვალეობაა საბჭოთა ადამიანების უფართოეს წრეებს უჩვენონ ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებსაც ქიმია გვისახავს.

მხოლოდ იმ პირობით, თუ მშრომელთა ფართო მასებს ეცოდინებათ. რას გვაძლევს ქიმია, ეცოდინებათ ქიმიური გზით შექმნილი მასალების თვისებანი, საქმეში მათი უნარიანად გამოყენება, შეეძლებთ გამოვიყენოთ მდიდარი შესაძლებლობანი, რომლებსაც ქიმია სახავს. **(ტაში).**

ამხანაგებო! რამდენიმე შენიშვნა მინდა გამოვთქვა სოფლის მეურნეობის შესახებ.

ახლა ჩვენ განვიხილავთ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ბაზის — მინერალური სასუქების წარმოების გადიდების საკითხს.

უნდა გვახსოვდეს, რომ სასუქების ფართოდ გამოყენება მოგვთხოვს სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, ჩვენი აგრონომიული კადრების მუშაობის სერიოზულად გაუმჯობესებას. ისინი მოწოდებული არიან სწორად გაიგონ და წარმატებით განახორციელონ ახალი ამოცანები. ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანს უნდა ვასწავლოთ მინერალური სასუქების უნარიანად გამოყენება. ბეჯითად უნდა ვეცადოთ, რომ შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯებით კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მაქსიმალური რაოდენობით იძლოდნენ პროდუქციას.

მაგრამ ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც მოითხოვს უფრო დაწვრილებით და ღრმად განხილვას. ჩვენ ვიმსჯელეთ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ დაახლოებით მომავალი წლის თებერვალში უნდა მოვიწვიოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და ამ პლენუმის დღის წესრიგში დავსვათ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ვოლოვჩენკოს მოხსენება, დაწვრილებით განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების აქტუალური საკითხები.

ჩვენ გვაქვს დრო, რომ კარგად მოვემზადოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის, შევიმუშაოთ მიწის, მინერალური სასუქების უფრო ეფექტიანად გამოყენების, წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების დანერგვის კონკრეტული ღონისძიებანი.

მაგრამ არ უნდა დაველოდოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს და ახლავე უნდა მოვკიდოთ ხელი ზოგიერთ გადაუდებელ საქმეს. მხედველობაში მაქვს უწინარეს ყოვლისა, ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობა, ასეთი მეურნეობები კი ჩვენში, ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდია.

არ არის იმის ობიექტური მიზეზები და პირობები, რომ ღონიერი, მოწინავე მეურნეობების გვერდით არსებობდნენ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. როგორც წესი, ამა თუ იმ მეურნეობის ჩამორჩენას განაპირობებს ხელმძღვანელი კადრების — კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების დონე, აგრეთვე მექანიზატორთა კადრების — ტრაქტორისტების, კომბაინერების სისუსტე მთელ რიგ რაიონებში.

ბუნებრივია, რომ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა აღმავლობისათვის მთელი მუშაობაც უნდა დავიწყოთ ამ მეურნეობებში მცოდნე, მომზადებული, კარგი ორგანიზატორების შერჩევით, რეკომენდაცია მივცეთ მათ კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა პოსტებზე. საჭიროა აგრეთვე შევარჩიოთ აგრონომები, ზოოტექნიკოსები, დავეხმაროთ მექანიზატორთა კადრებით.

ამ საკითხების გადაჭრისას ჩვენ გარკვეული სიძნელეები გვექნება. საქმე ის არის, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი თავიანთი ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ უზრუნველყოფენ ამ ადამიანების შრომის ჯეროვან ანაზღაურებას, ესე იგი ისეთ ანაზღაურებას, როგორსაც ისინი ახლა იღებენ თავიანთი სამსახურის ადგილას კარგი მუშაობისათვის.

იქმნება თავისებური მდგომარეობა: ერთი მხრივ, მეურნეობა ჩამორჩენილია იმის გამო, რომ გამოცდილი კადრები არა ჰყავს, ხოლო მეორე მხრივ საშუალება არა აქვთ აუნაზღაურონ შრომა კარგ ორგანიზატორსა და სპეციალისტს, თუ მას სუსტ კოლმეურნეობაში მიიწვევენ.

უნდა ვიფიქროთ გამოსავალი. ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ ამ საკითხზე, და მე გამოვთქვამ არა მარტო ჩემს მოსაზრებას, არამედ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხვა წევრების აზრსაც.

როგორც ჩანს, სპეციალური კრედიტების გამოყოფა მოგვიხდება ამ კოლმეურნეობებისათვის, რათა მათ შეეძლოთ აუნაზღაურონ შრომა თავმჯდომარეებს, სპეციალისტებსა და მექანიზატორებს. **(ხანგრძლივი ტაში).** ეს დროებითი ფინანსური დახმარება ანაზღაურდება, კარგი კადრები შეძლებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის სწრაფად გაუმჯობესებას, წარმოების დონის ამაღლებას. პრაქტიკა ამას დასტურებს. აქ გამოვიდა ამხანაგი გრაჩოვი. ოდესღაც იგი ოლქის პარტორგანიზაციის რეკომენდაციით მივიდა ჩამორჩენილ მეურნეობაში. ახლა კი ხომ გაიგონეთ, კოლმეურნეობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, სამაგალითო გახდა მთელი ოლქისათვის. ამხ. გრაჩოვი კალინოვკელი არ არის, იგი მეზობელი დმიტრიევკის რაიონის მცხოვრებია, მაგრამ ახლა უკვე ნამდვილი კალინოვკელი გახდა, იგი ჩემი თანასოფლელების ღირსეული წარმომადგენელია ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

აი როგორი შესაძლებლობანი გვაქვს, აი როგორი კადრები ჰყავს ჩვენს პარტიას. ისეთები კი, როგორიც ამხ. გრაჩოვია, ჩვენში ათასობით არიან. სწორედ ასეთი ადამიანები უნდა დავაწინაუროთ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

ვიმეორებ, უნდა შევარჩიოთ საუკეთესო მუშაკები, ისინი კი არა, ვინც სოფელში უხალისოდ, მხოლოდ პარტიული დისციპლინის გამო მიდის, ასეთები ახლოსაც არ უნდა გავაკაროთ კოლმეურნეობებს. თუ კაცი კოლმეურნეობაში იძულებით მიდის, იგი დაჯდება და დაიწყებს ლოდინს, თუ როდის შეძლებს ძველ სამუშაო ადგილზე დაბრუნებას. უნდა დავაწინაუროთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც სწამთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების სწრაფი აღმავლობის საქმე, ენდობიან კოლმეურნეებს. თავის მხრივ ასეთ მუშაკებს კოლმეურნეებიც ნდობით მოეკიდებიან. თქვენ გახსოვთ, რომ შოლოხოვის ცნობილი წიგნის „გატეხილი უამრისის“ მთავარი გმირი პიტერელი მუშა დავიდოვი იყო. ნახეთ, როგორ მუშაობდა იგი, როგორ შეიყვარეს იგი კაზაკებმა და როგორ შეიყვარა მან კოლმეურნეობა. თუ იმ დროს ლენინგრადი გზავნიდა სოფლად მუშებს, ახლა ჩვენ ქალაქადაც და სოფლადაც ათასობით გვყავს ასეთი ადამიანები. აი სწორედ მათ უნდა მივანდოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების გამოსწორების საპატიო საქმე. მოდით შევარჩიოთ დავიდოვები, გრაჩოვები. დარწმუნებული ვარ, რომ ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები ერთი-ორი წლის განმავლობაში სახეს იცვლიან. **(ტაში).**

ალბათ ამ კოლმეურნეობებში გაგზავნილი კადრები პროფკავშირების წევრებად უნდა დარჩნენ და მათ უნდა შევუნარჩუნოთ პროფკავშირის წევრის ყველა უფლება — სოციალური უზრუნველყოფა და სხვ. **(ტაში).**

შესაძლოა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოლმეურნეობებმა, ისევე როგორც საწარმოებმა, თანხები გადარიცხონ სახელმწიფო ფონდში თავიანთი მუშაკების პენსიით უზრუნველყოფისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ახლა ჩვენი ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს ფართო მასშტაბით გადავწყვიტოთ მთელი სოფლის მოსახლეობის პენსიებით უზრუნველყოფის პრობლემა. მაგრამ დოვლათის დაგროვების კვალობაზე ამ ამოცანასაც გადავწყვეტთ.

მომავალი პლენუმისათვის მზადების პროცესში წამოიჭრება ბევრი სხვა საკითხიც. ახლა მათ არ შევეხები. შევეხები მხოლოდ საკვების წარმოების გადიდებისა და მიწის გამოყენების ამოცანებს. პრესაში უკვე დაისვა ეს პრობლემები, და საჭიროა სწორი მიმართულება მივცეთ ასეთ განხილვას.

სავსებით ნათელი უნდა იყოს პირუტყვის საფურაჟე მარცვლითა და სხვა საკვებით უზრუნველყოფის საკითხი. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოიანგარიშეს, რომ მეცხოველეობას დასჭირდება 7,5 მილიარდი ფუთი მარცვალი. მაგრამ ეს საერთო ციფრია, თუ შეიძლება ასე ითქვას. სურვილია. უნდა ვუჩვენოთ ადამიანებს, თუ საიდან ავიღოთ ეს მილიარდები, რომელ ზონებში და რა გზით შეიძლება მივიღოთ მარცვლეული საჭირო რაოდენობით.

პლენუმამდე რამდენიმე დღით ადრე პრესაში გამოქვეყნდა საგეგმო და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკთა სტატიები, რომლებშიც გაშუქებულია რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები. მაგრამ ზოგიერთი რესპუბლიკის გაანგარიშებებში პასუხი არ არის გაცემული ასეთ კითხვაზე: სად, რომელ ზონაში, რა გზით შეიძლება აწარმოონ საკვები საჭირო რაოდენობით?

ვერც იმას დავეთანხმებით, რომ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკები მთელ რიგ შემთხვევებში პირველ პლანზე აყენებენ მდელოების, საძოვრების გაუმჯობესების ამოცანას, მოითხოვენ ამ საქმისათვის გამოვიყენოთ დიდძალი მინერალური სასუქები. საკვების წარმოებაში იმედი მდელოებზე რომ დავამყაროთ, ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ძველათ ამბობდნენ, ველოდოთ, ღმერთი რას მოგვცემს. ჩვენ არ შეგვიძლია დავადგეთ ასეთ გზას. საკვები უნდა ვაწარმოოთ ისე, რომ უკეთ გამოვიყენოთ ყოველი ჰექტარი მიწა.

ამხანაგებო, რეალისტები უნდა ვიყოთ და გვესმოდეს, რომ უახლოეს წლებში არ შეგვიძლია მდე-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

(გაგრძელება)

ლოებისა და საძოვრებისათვის საჭირო რაოდენობი, გამოვყოთ მინერალური სასუქები. რა თქმა უნდა, მდელოები უნდა გავაკულტურულოთ, გავაკირიანოთ, თავიდან ავიცილოთ დაშეავება, დროთა განმავლობაში კი მოგვიხდება ამისათვის გამოვყოთ მინერალური სასუქებიც. მაგრამ უგუნური მეურნენი და ხელმძღვანელები ვიქნებოდით, ახლა ამით რომ დაგვეწყო ჩვენი მუშაობა.

დღეს მთავარია სახნავი მიწებისაგან მივიღოთ უკეთესი შედეგი.

მინერალური სასუქები უწინარეს ყოვლისა, უნდა შეგვქონდეს ყველაზე ძვირფასი კულტურების ნათესებში, სადაც ისინი მაქსიმალურ ეფექტიანობას მოგვცემენ. მაგრამ ეს, ვიმეორებ, არ ნიშნავს, რომ მდელოები უნდა მივივიწყოთ. არა. მაგრამ ამ საქმეს კონკრეტულად უნდა მივუდგეთ. ავიღოთ ლატვია, ლიტვა, ესტონეთი. იქაც საკვები ბაზის საფუძველს შეადგენს სიმინდი, პარკოსნები, შაქრის ჭარხალი. მაგრამ იქ გარკვეულ როლს ასრულებს საძოვრებიც. მე ესტონეთსა და ლატვიაში ვიყავი რამდენიმე წლის წინათ, ვნახე მიწის ისეთი ნაკვეთები, რომელთა გამოყენება მხოლოდ საბალახოდ შეიძლება. ასეთ ნაკვეთებში ბალახის მოთიბვაც კი ძნელია და, ეტყობა, იქ უმჯობესი იქნება მოვაწყოთ პირუტყვის ნაკვეთობრივი ძოვება, დაე ასეთი ნაკვეთები ძროხებმა „მოთიბონ“.

ყოველივე ამასთან გარკვეულად უნდა ითქვას, რომ საძოვრებისათვის მინერალური სასუქების გამოყოფა ჩვენს ქვეყანას დღეს არ შეუძლია. სასუქების საჭიროა მარცვლეულის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და იმ კულტურებისათვის, რომლებიც ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას იძლევიან.

საკვების წარმოებას თვითეულ ზონაში თავისებურად უნდა მივუდგეთ, გავითვალისწინოთ ნიადაგის, ჰავისა და სხვა პირობები.

საჭიროა, რომ თვითეული ზონის სოფლის მეურნეობის მუშაკები ხედავდნენ, თუ რა კულტურის ხარჯზე შეუძლიათ აწარმოონ საფურაჟე მარცვალი და სხვა საკვები. ზოგ ზონაში ეს იქნება სიმინდი, საშემოდგომო ქერი, ბარდა. შეიძლება სხვა კულტურებიც. ზოგში — სიმინდი, საგაზაფხულო ქერი, ბარდა, ცერცველა, ხანჭკოლა.

იგივე უნდა გვქონდეს მხედველობაში წვნიანი საკვების წარმოების ორგანიზაციაშიც. ეს ის საკითხია, რომელიც კარგად უნდა მივიფიქროთ, ამხანაგებო.

თუ არ გვექნება სიმინდის, შაქრის ჭარხლის, პარკოსანი კულტურების უხვი მოსავალი, ისე საკმაოდ ვერ უზრუნველვყოფთ პირუტყვს საკვებით. ეს არის მთავარი მეცხოველეობაში.

აქ ალბათ არიან ამხანაგები, რომლებსაც შევხვდი წელს შემოდგომაზე გენიჩესკში. კრასნოდარსა და სამხრეთ უკრაინაში მგზავრობის დროს ბევრი საინტერესო შეხვედრა და საუბარი გაიმართა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, წარმოების მოწინავეებმა. გენიჩესკის რაიონი უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე გვალვიანი რაიონია. სიმინდის მოსავლიანობა იქ მიმდინარე წელს მცირე იყო, და საერთოდ ხორშაკის გამო იქ იშვიათად მოდის უხვი მოსავალი. მიმდინარე წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სულ დაახლოებით 100 ცენტნერი სიმინდის სასილოსე მასა აიღეს ჰექტარზე. საუბარში ვუთხარი გენიჩესკელ ამხანაგებს, იქნებ საჭირო იყოს სხვა კულტურები დათესოთ-მეთქი. მათ მიპასუხეს, სასილოსე სიმინდი რომ აღარ დავთესოთ, მაშინ ძროხებს ნამჯა უნდა ვაჭამოთ, რადგან სხვა საკვების წარმოება აქ შეუძლებელიაო. ამიტომ ამ ზონაში ასი ცენტნერი სიმინდის სასილოსე მასაც კი ჰექტარზე ყველა სხვა კულტურაზე უფრო დიდი მოსავალია საკვებ ერთეულებზე გაანგარიშებით.

მე მომეწონა გენიჩესკელი ამხანაგების ასეთი მსჯელობა. ისინი საქმეს უდგებიან გაანგარიშებაზე დაყრდნობით, ერთმანეთს უპირისპირებენ სხვადასხვა კულტურის მოსავალს. მე ვეთანხმები მათ.

შეიძლება ვურჩიოთ ჩვენს სამხრეთელებს — უკრაინელებს, როსტოვს, მოლდავეთს უფრო ფართოდ გამოიყენონ საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცის“ გამოცდილება, რომელმაც საკუთარი ძალებით მოაწყო მორწყვა და სიმინდის კარგ მყარ მოსავალს მიაღწია. ეს გამოცდილება ხელმისაწვდომია სამხრეთის ზონის თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის. თითქმის ყველგან შეიძლება გადავხიდოთ მდინარე ან ღელე, დავაგროვოთ გაზაფხულისა და შემოდგომის წყალი და მოვაწყოთ მინდვრების მორწყვა.

ჩვენ ვიყავით ხერსონის ოლქის კოლმეურნეობა „ნოვე ჟიტიაში“, სადაც აგრეთვე აქვთ მინდვრების მორწყვის გამოცდილება. აქ რწყავენ მცირე ფართობს — დაახლოებით 100 ჰექტარს. მაგრამ ამ ასმა ჰექტარმა სარწყავმა მიწამ, თუ სასუქებს შევიტანთ, შეიძლება შეცვალოს 500-600 და ათასი ჰექტარი ურწყავი მიწებიც კი გვალვიან ზონაში.

კოლმეურნეობა „ნოვე ჟიტიაში“ მექანიზებული რგოლის მერგოლურის ამხ. რომანიუკის სარწყავ ნაკვეთზე ვნახეთ სიმინდის ნათესები. ყანები ტუესავით იდგა. ამხ. რომანიუკი, ვგონებ, აქ უნდა იყოს.

ხმა. აქ არის, აი იგი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. აბა სად?

ა. ი. რომანიუკი. აქ გახლავართ, ნიკიტა სერგის-ძევ!

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამხ. რომანიუკ, სიმინდის რა მოსავალი მოგყავთ?

ა. ი. რომანიუკი. 1962 წელს მივიღეთ 1.064 ცენტნერი მწვანე მასა და 80,4 ცენტნერი მარცვალი, წელს კი — 900 ცენტნერი მწვანე მასა და 70-75 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე. **(ტაში).**

ნ. ს. ხრუშჩოვი. აი, ხედავთ, ამხ. რომანიუკს სარწყავ მიწაზე 1.000 ცენტნერი სასილოსე სიმინდი მოჰყავს თვითეულ ჰექტარზე. ვერავითარი სხვა კულტურა ვერ მოგვცემს ასეთ უხვ მოსავალს. სიმინდის მოვლა-მოყვანის აი ასეთი გამოცდილება უნდა გავავრცელოთ ბეჯითად. **(ტაში).**

სასილოსე სიმინდის მოვლა-მოყვანას რომ ვეხები, მინდა გავაკრიტიკო მოსკოვის ოლქში მომუშავე ამხანაგები იმისათვის, რომ მათ შეანელეს ყურადღება ამ კულტურისადმი. მინდა ეს გიჩვენოთ ერთი კოლმეურნეობის მაგალითით, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის ბევრი წევრი იცნობს, რადგან რამდენიმე წლის წინათ ვიყავით ამ კოლმეურნეობის ყანებში და იქ შესანიშნავი სიმინდი ვნახეთ. იგი ისეთი ბუმბერაზული სიმაღლისა იყო, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცხენით დადიოდა და არ ჩანდა ყანაში.

წელს კი ამ კოლმეურნეობაში სიმინდის ნათესები იმდენად უყურადღებოდ მიტოვებული აღმოჩნდა, რომ საცოდაობა იყო მისი ყურება. ამ მეურნეობის მაგალითი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ საქმის წარმატებას წყვეტს, არა მიწა, არა ჰავა, არამედ ადამიანები, მათი უნარი.

უნდა დავეუფლოთ სიმინდის მოვლა-მოყვანის ოსტატობას, და მაშინ ეს კულტურა მეურნეობისათვის სიმდიდრის წყარო იქნება. **(ტაში).**

საკვების წარმოება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. და იგი უნარიანად უნდა გადაჭრათ თვითეულ ზონაში. აიღეთ, მაგალითად, ბელორუსია. ამჟამად ჰექტარი საძოვრები რესპუბლიკას 4 ცენტნერ საკვებ ერთეულს აძლევს. სხვა კულტურები კი რამდენ საკვებ ერთეულს იძლევიან?

ჰექტარი სიმინდი, როცა მოსავალია 300 ცენტნერი ტაროიანი მწვანე მასა, — 60 ცენტნერ საკვებ ერთეულს.

ჰექტარი შაქრის ჭარხალი, როცა მოსავალია 250 ცენტნერი, — 85 ცენტნერ საკვებ ერთეულს

ჰექტარი კარტოფილი, როცა მოსავალია 140 ცენტნერი, —49 ცენტნერ საკვებ ერთეულს

ჰექტარი სტაფილო, როცა მოსავალია 200 ცენტნერი, — 36 ცენტნერ საკვებ ერთეულს

ჰექტარი ბარდის მწვანე მასა, როცა მოსავალია 200 ცენტნერი, — 32 ცენტნერ საკვებ ერთეულს

ჰექტარი შვრია — ცერცველას ნარევი, როცა მოსავალია 150 ცენტნერი, — 24 ცენტნერ საკვებ ერთეულს.

ცხადია, რომ სასუქები უწინარეს ყოვლისა უნდა შევიტანოთ იმ კულტურების ნათესებში, რომლებიც ყველაზე მეტი რაოდენობით იძლევიან საკვებს ჰექტარზე.

ამას წინათ მე მივიღე წერილი ბელორუსიიდან. წერილის ავტორი ამხ. ტიშკოვი, სიმინდის სელექციონერი, მწერს: „გიგზავნით ახალი ჯიშის სიმინდის „პოლესიურის“ ტაროებს. რომელიც წელს მოვიყვანეთ ბელორუსიის მიწაზე, მინსკის ოლქის ჩერვენის რაიონში. მოსავალი მივიღეთ 73 ცენტნერი ხმელი მარცვალი 12 ჰექტარი ნათესი ფართობის ჰექტარზე“.

აი სად უნდა გამოვიყენოთ მინერალური სასუქები!

პლენუმისათვის მზადების დროს და თვით ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ბევრი ყურადღება ეთმობოდა ხორბლისა და სიმინდის წარმოების გადიდებას. ეს კარგია.

მაგრამ ყველა ამხანაგს როდი ესმის სწორად ამ ამოცანის გადაჭრის კონკრეტული გზები. მაგალითად, უკრაინის პრესაში გამოქვეყნდა მასალები, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ სიმინდის შემდეგ ხორბლის დათესვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიმინდს სასილოსედ ავიღებთ ივლისის დამლევს. მაგრამ ყველა, ვინც ამ კულტურას იცნობს, იტყვის, რომ ივლისის დამლევს სიმინდი სწორედ უაღრესად ინტენსიურად იზრდება. ტაროს იკეთებს, ღონიერდება. რატომ უნდა აიჭრას იგი ამ დროს?

მეცნიერები და პრაქტიკოსები ამჟამად იმისათვის ზრუნავენ, რომ გამონახონ ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანის უკეთესი შესაძლებლობანი. ისინი აყენებენ ბევრ საყურადღებო წინადადებას, გვირჩევენ საუკეთესო ჯიშებს, რომლებიც ჩვენმა სელექციონერებმა შექმნეს. აქ მეტად საინტერესოდ გამოვიდა ამხ. პ. პ. ლუკიანენკო, რომელმაც შექმნა ხორბალი „უფხო-1“. ამხ. ვ. ნ. რემესლო პლენუმზე არ გამოსულა, მაგრამ იგი კარგად გამოვიდა იმით, რომ შექმნა ახალი ჯიშის ხორბალი „მირონოვული-808“, რომელიც მშვენიერ მოსავალს იძლევა.

გვირჩევენ ნიადაგის დამუშავების ახალ მეთოდებს. ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ხორბლის ნაწილი უნდა დათესოს შემოდგომის და მოუთესავ ანეულებში.

როგორც ჩანს, ეს სწორია, როცა საქმე ეხება, მაგალითად, ყამირ მიწებს. ყამირი რაიონებისათვის მიწათმოქმედების განსაკუთრებული სისტემა უნდა შემუშავდეს. იქ, როგორც ჩანს, ანეულებს გვერდს ვერ ავუვლით. სხვა გვალვიან რაიონებშიც, შესაძლოა, საჭირო იქნება რაღაც რაოდენობით ანეულები. **(ტაში).**

მაგრამ როცა ანეულებს გვირჩევენ დატენიანებული ზონისათვის, ისეთი რაიონებისათვის, როგორიც არის უკრაინის ტყე-ველი, ჩრდილოეთი კავკასია, ეს უკვე სხვა საკითხია.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დატენიანებული ზონის ბევრ რაიონში, სადაც ლიკვიდირებულია ეგრეთწოდებული მოუთესავი და შემოდგომის ანეულები, უკეთ, უფრო პროდუქტიულად იყენებენ მიწებს.

გვალვიანი რაიონების შესახებაც კი სპეციალისტებს არა აქვთ ერთიანი შეხედულება შემოდგომის ანეულებზე. მაგალითად, ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონში ზოგი ამბობს, რომ საჭიროა შემოდგომის ანეულები, ზოგი კი აცხადებს — არა, უნდა დაითესოს სიმინდი ისე, რომ მწკრივთაშორისები 210 სანტიმეტრი იყოს, ესე იგი სათესმა მანქანამ, რომ გაიაროსო. ამ შემთხვევაში კოლმეურნეობას მოჰყავს 20-25 ცენტნერი სიმინდის მარცვალი ჰექტარზე და არსებითად შემოდგომის ანეული აქვს, რადგან სიმინდის მწკრივთაშორისები ზაფხულის განმავლობაში მუშავდება.

აქ გამოვიდა უკრაინის ტყეველიანი ზონის წარმომადგენელი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხანაგი კავუნი. კოლმეურნეობაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, არ არის არც ერთი ჰექტარი მოუთესავი ანეული. 1962 წელს კოლმეურნეებმა მოიყვანეს ყველა მარცვლეულის საშუალო მოსავალი 42,1 ცენტნერი ჰექტარზე, მათ შორის სიმინდი — 71,2 ცენტნერი მარცვალი 1.000 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე. შაქრის ჭარხალი — 301 ცენტნერი, ბარდა — 34 ცენტნერი ჰექტარზე.

სად განალაგებს საშემოდგომო კულტურების ნათესებს ამხანაგი კავუნი? ბარდის, სიმინდის ნაყანევზე. ესენი საუკეთესო წინამორბედებია საშემოდგომო ხორბლისათვის.

ან ავიღოთ კურსკის ოლქის სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობის, ისევე როგორც უკრაინისა და რუსეთის ფედერაციის ბევრი სხვა მეურნეობის ათი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, როცა მოუთესავი ანეულები არ არის, დატენიანებულ ზონაში მიწას უფრო ეფექტიანად იყენებენ.

აი რა გაანგარიშებას იძლევა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გრაჩოვი მოუთესავი და მოთესილი ანეულის ეფექტიანობის შესახებ. მოთესილ ანეულში პირველ წელს ბარდის მოსავალი მიიღეს 25,8 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო მეორე წელს — ხორბლისა 35,4 ცენტნერი ჰექტარზე. მთლიანად ორ წელიწადში აღებულია 61,2 ცენტნერი მარცვალი საშუალოდ ჰექტარზე.

მოუთესავ ანეულში ყველაზე ხელსაყრელ პირობებში შეიძლება მოვიყვანოთ მარცვალი 30-35 ან უკეთეს შემთხვევაში 40 ცენტნერი, ესე იგი ერთნახევარჯერ ნაკლები.

ამიტომ, ამხანაგებო, საეჭვოა, რომ ეკონომიურად მიზანშეწონილი იყოს მოუთესავი ანეულები ამ ზონისათვის.

ჩვენ მეცნიერულად უნდა მივუდგეთ ამ საკითხს. მხარი უნდა დავუჭიროთ და პრაქტიკაში დავნერგოთ ის, რაც მეტ ეკონომიურ ეფექტს, მეტ მოსავალს იძლევა. თუ გვაქვს მოუთესავი ანეულების კარგი თეორიული დასაბუთება, მაგრამ პრაქტიკულად ეს იწვევს მარცვლის მოსავლის შემცირებას, ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ასეთი სისტემა არ გვჭირდება.

ვიმეორებ, აქ უპირატესობა უნდა მიეცეს ფანქარს, ეკონომიურ გაანგარიშებას, მე ხმას ვაძლევ იმ სისტემას, რომელიც გვაძლევს მეტ მარცვალსა და საკვებს მეცხოველეობისათვის. **(ტაში).**

აქვე უნდა ითქვას, რომ ხორბალმა „მირონოვულმა-808“, რომელიც სიმინდის შემდეგ დაითესა, კალინოვკაში მოგვცა 43,5 ცენტნერი მოსავალი ჰექტარზე.

ესეც მოწმობს, რომ სასარგებლო არ არის მოუთესავი ანეული, რადგან სასილოსედ დათესილი სიმინდი იძლევა 550 ან 600 ცენტნერ მოსავალს, სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ დათესილმა საშემოდგომო ხორბალმა „მირონოვულმა-808“ მოგვცა 43,5 ცენტნერი მოსავალი. აი ეს ეფექტია. მაგრამ ხორბალი რომ დაგვეთესა მოუთესავ ანეულში, მაშინ კოლმეურნეობა დაკარგავდა ამ 600 ცენტნერ სასილოსე სიმინდის მასას ჰექტარზე.

ერთი სიტყვით, ეს საკითხი უფრო გულდასმით უნდა განვიხილოთ, ყოველმხრივ ავწონ-დავწონოთ, რომ ნათესბალახიანი სისტემიდან არ დავქანდეთ მოუთესავი და შემოდგომის ანეულების სამშინდვრიანი სისტემისაკენ.

თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკისა და ქიმიის განვითარების პირობებში ჩვენ შეგვიძლია მაქსიმალური რაოდენობით მოვიყვანოთ პროდუქცია თვითეულ ჰექტარ მიწაზე.

ამ საქმეში არ შეიძლება ვიმოქმედოთ ადმინისტრაციული მეთოდებით. უნდა ვეთათბიროთ მეცნიერებს, პრაქტიკოსებს და, რაც მთავარია, უნდა დავეყრდნოთ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებას.

თუ როგორ სჯობს მეურნეობის წარმოება ტყეველიან ზონაში, ამას მოწინავე კოლმეურნეობები გვიჩვენებენ. ჩვენ გვაქვს ამ საქმის აკადემია — კოლმეურნეობა, რომელსაც ამხანაგი კავუნი ხელმძღვანელობს. მან ისე მოაწყო საქმე, რომ კოლმეურნეობას მოჰყავს 34-35 ცენტნერი და მეტი ხორბალი, 71 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. ამ მეურნეობის მაგალითით უნდა ვისწავლოთ, უნდა ვასწავლოთ ახლო მდებარე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. **(ტაში).** და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასეთი აკადემიკოსები ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ბევრია. ისინი უნდა გამოვაჩინოთ, მათი მაგალითით უნდა ვასწავლოთ სხვებს, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ისინი მართლაც იყონ გზის მაჩვენებელი შუქურებიც, პროექტორებიც, რომლებიც გვინათებენ მარცვლეულის მეუხეობისა და მეცხოველეობის აღმავლობის გზას. **(ტაში).**

მინდა შენიშვნა გამოვთქვა ცილოვანი საკვების წარმოების შესახებ. როცა ზოგიერთი მუშაკის გამოსვლას ისმენ, სტატიებს კითხულობ, ხშირად ხედავ მსჯელობას მხოლოდ სინთეზური ცილების შესახებ. რასაკვირველია, ჩვენ უნდა განვავითაროთ და განვავითარებთ კიდევაც სინთეზური ცილების წარმოებას. მაგრამ, ამხანაგებო, არ უნდა გვავიწყდებოდეს, მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს ცილებით მდიდარი საკვები კულტურების წარმოების გადიდების ამოცანა. წმინდა სახის სინთეზური ცილებით ცხოველთა კვება არ შეიძლება. ისინი ემატება ძირითად საკვებს. ამიტომ, ამხანაგებო, ნუ იფიქრებთ, რომ თუ ქიმიას განვავითარებთ, აღარ უნდა ვიზრუნოთ საკვებზე მეცხოველეობისათვის, რომ ქიმიის დახმარებით პირდაპირ სინჯარიდან მიიღებთ მზა პროდუქტს, ვთქვათ, ძეხვის სახით. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** ეს, ამხანაგებო, ჯერჯერობით არ შეიძლება მოხდეს.

მთელ რიგ გამოსვლებში აღინიშნა, რომ შეერთებული შტატები დიდი რაოდენობით აწარმოებენ სინთეზურ ცილოვან ნივთიერებებს მეცხოველეობისათვის. ეს სწორია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ შეერთებული შტატები თესავენ 11 მილიონ ჰექტარ სოიას. მაშინ, როცა საშუალო მოსავალი ჰექტარზე 17 ცენტნერია, ამერიკას მოჰყავს 19 მილიონი ტონა სოია. ზეთი ხმარდება კვებისა და ტექნიკურ მიზნებს, ხოლო კოპტონს მეცხოველეობის საჭიროებისათვის იყენებენ.

ჩვენც უფრო მეტი უნდა ვაწარმოოთ ბარდა, სოია, ცერცველა, ხანჭკოლა, იონჯა და გამოვიყენოთ მეცხოველეობის საჭიროებისათვის ბადაგი, კოპტონი.

ჩვენ ვსახავთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდ პროგრამას. ეს პროგრამა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენებთ თვითეულ ჰექტარ მიწას.

საბოლოო სიტყვაში მინდა ვუპასუხო ერთ ბარათს, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მივიღე. აი ეს ბარათი:

„ამხანაგო ხრუშჩოვ, ხომ არ არის დრო გადაჭრათ საკითხი, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოსკოვის აგარაკიდან, „სანატორიუმიდან“ გადაიყვანოთ მოსკოვში, ორლიკოვის ქუჩაზე, 1/11, რათა ეს სამინისტრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მეცნიერებასთან, ცენტრალურ კომიტეტთან, და ადამიანები არ ხარჯავდნენ დროსა და ჯანმრთელობას მგზავრობაზე. აბა იფიქრეთ სამინისტროს თვითეული თანამშრომელი სამუშაოდ მიდის 60 კილომეტრზე და იქით-აქეთ გზას ანდომებს ოთხ საათს პლუს შვიდი საათი დაძაბული შრომა. იმედი გვაქვს, რომ წლის დამლევამდე მიიღებთ გონივრულ გადაწყვეტილებას. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელი იაბლონსკი“.

ბარათში აღძრულია საყურადღებო საკითხი. ეს საკითხი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა მუშაკებმაც აღძრეს. ჩვენ ვიმსჯელეთ ამის თაობაზე.

უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა, თუ რატომ მიიღეს ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ გადაწყვეტილება, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადაეყვანათ ქალაქიდან, რომ იგი ახლო ყოფილიყო მიწასთან. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელდა სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნა. მთელი ადმინისტრაციული და სავაჭრო ფუნქციები, რომლებსაც წინათ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასრულებდა, სხვა ორგანოებს გადაეცათ. წარსულში სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვაჭრობდა სასუქებითა და მანქანებით, ასრულებდა ადმინისტრაციულ სამუშაოებს.

ასეთი მდგომარეობა იყო მრავალი წლის წინათ, და ფაქტიურად სამინისტროს ყველა თანამშრომელი დილიდან ღამემდე დარბოდა სხვადასხვა ორგანიზაციაში, ესწრებოდა თათბირებსა და სხდომებს. ხოლო თავიანთი უშუალო მოვალეობის შესასრულებლად დრო ძალიან ცოტა რჩებოდათ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაყიდვის ფუნქციები ახლა გადაეცა სპეციალურ ორგანოს „საკსოფლტექნიკას“. ამ გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. ა. ა. ეფევსკი პლენუმზე გამოვიდა, მან იცის თავისი საქმე. ვფიქრობ, ის არ არის დამხანაგავე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვვაჭრობთ როგორც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. მანქანებით კი საჭიროა ვაჭრობა. ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ქარხნები ხშირად გზავნიან მანქანებს კონკრეტული მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. რას იწვევს ეს? სადგურში ძოდის მანქანები, რკინიგზელები გადმოტვირთავენ ამ მანქანებს, ზოგჯერ აწყობენ პირდაპირ გზის პირას, და აწყვია მანქანები, სანამ გამოჩნდებოდეს მათი პატრონი. და მაშინ მიაქვთ მთლიანად აგრეგატი, ცალკე შემთხვევაში კი ზოგი ვინმე მოხსნის ქანჩებს, მიაქვს მანქანების ესა თუ ის ნაწილი და ამას სჯერდება.

საჭიროა, რომ ჩვენი ქარხნები ამზადებდნენ მანქანებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეკვეთით, ხოლო „საკსოფლტექნიკა“ იყოს შუამავალი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და სამრეწველო საწარმოებს შორის. ახლა კი ხშირად ასე გამოდის: აკეთებენ მანქანას, გზავნიან კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში, იქ კი აცხადებენ, ეს მანქანა არა გვჭირდებაო. ქარხანაში თავის მხრივ ამბობენ: „ჩვენ გავაკეთეთ მანქანა, და რატომ უნდა დავაყოვნოთ მანქანა ქარხანაში. ვგზავნით მას შეკვეთით“. ზოგჯერ ვერც კი იპოვნი პასუხისმგებელს მანქანის გამოშვებისათვის და იმისათვის, რომ იგი გაუგზავნეს იმათ, ვისაც არ ესაჭიროება.

ამხანაგებო, ბოლო უნდა მოეღოს ასეთ ნაკლოვანებებს. მე გზადაგზა შევეხე კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვის ორგანიზაციის საკითხს.

ან ავიღოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა, რაზედაც წინათ აგრეთვე მუშაობდა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ახლა ეს საქმე რესპუბლიკებს გადაეცა. გარეგანი ამისა, ჩვენ შეექმეხით სოფლის მეურნეობის გაერთიანება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სადაც ამ საკითხებზე მუშაობს ამხ. ნ. პ. გუსევი, რომელსაც ეკისრა ეს საქმე.

მაშასადამე, მუშაობის ეს ნაწილიც ჩამოშორდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. მოკავშირე რესპუბლიკებში ამ საქმეზე მუშაობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროები. ამრიგად, ახლა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობა ხორციელდება დაგეგმვის საშუალებით, რაზედაც მუშაობენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

რა ფუნქციები დარჩა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს? მისი მთავარი ფუნქციაა სერიოზულად მოჰკიდოს ხელი სოფლის მეურნეობის მეცნიერების საკითხებს, წარმოებაში დანერგოს მისი მიღწევები. სოფლის მეურნეობა წარმოების უაღრესად რთული დარგია. ამავე დროს ყველა პროფანს, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების მომხმარებელია, მიაჩნია, რომ იცნობს სოფლის მეურნეობას და ამიტომ ჰგონია, რომ მასაც შეუძლია უხელმძღვანელოს სოფლის მეურნეობას.

ჩვენი ცოდნა ყოველწლიურად მატულობს, მაგრამ სოფლის მეურნეობასაც სულ უფრო რთულ ამოცანებს ვუსახავთ. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის დონეც უნდა მაღლდებოდეს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ ვცანით გაგვეთავისუფლებინა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადმინისტრაციული მართვის იმ ფუნქციებისაგან, რომლებიც არ შეეფერება მას, და მთელი მისი ყურადღება მიგვეპყრო სოფლის მეურნეობის მეცნიერების საკითხებისადმი, ექსპერიმენტული სამუშაოებისადმი, რათა ხელმძღვანელობდეს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, უდიდეს საცდელ სადგურებს — მაგრამ ყველას კი არა, რადგან ზოგიერთი საცდელი სადგური საწარმოო სამმართველოებში შედის.

სწორედ ამ ახალი ფუნქციების გამო ვცანით მიზანშეწონილად, რომ არ არის საჭირო მოსკოვში, „სადოვოე კოლცოზე“, ისხდნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი და სამინისტროს მუშაკები. რა უნდა აკეთონ მათ აქ, ქალაქში, რა საცდელი მუშაობა უნდა აწარმოონ? მე მესმის, რომ ამან გაუძნელა საქმიანობა სამინისტროს აპარატის ძველ თანამშრომლებს. ეს მე სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ვოლოვჩენკომაც მითხრა. როცა მას ვესაუბრებოდი, ვუთხარი, რომ ჩვენ არ გვჭირდება ისეთი სოფლის მეურნეობის სამინისტრო, როგორიც აქამდე გვქონდა, რომ მოსკოვში მუშაობა სამინისტროს ახალი ფუნქციების შესასრულებლად ფაქტიურად თითქმის შეუძლებელია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის წინანდელი ფუნქციების შესასრულებლად გვაქვს რესპუბლიკური სამინისტროები, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებასთან ერთად უფრო კონკრეტულად უძღვებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ჩვენში, რა თქმა უნდა, ბევრნი არიან სხვადასხვა ცენტრალურ ორგანიზაციაში ისეთი მუშაკები, რომელთაგან თვითეულს სურს ტელეფონით ურეკოს სოფლის მეურნეობის მინისტრს, მოიხმოს თავის კაბინეტში, ან მოსთხოვოს მოადგილეები და სამინისტროს თანამშრომლები სხვადასხვა სახის სხდომებსა და თათბირებზე დასასწრებად.

ამიტომ მე ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე ვთქვი, რომ უნდა ავკრძალოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკების გამოძახება სხვადასხვა დაწესებულებებში და მივცეთ მათ საშუალება იმუშაონ მეცნიერულ საკითხებზე. თუ მინისტრი გჭირდება, კეთილი ინებე და ჩაბრძანდი მასთან სამინისტროს მეურნეობაში, ხომ სწორედ იქ შეიძლება ეკეთ შეიტყო, თუ როგორ მიდის საქმე სოფლის მეურნეობაში, როგორ ვითარდება სოფლის მეურნეობის მეცნიერება, როგორ ინერგება წარმოებაში მისი მიღწევები!

მე სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. ვოლოვჩენკოს პატივს ვცემ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მას უყვარს მიწა. სამინისტროს თავმინებებული საცდელი მეურნეობა მან ერთ წელიწადში გამოასწორა. უფრო ნაკლები მინერალური სასუქებით, ვიდრე წინათ იყენებდნენ, მეურნეობაში ერთიორად გადიდდა მოსავლიანობა, გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა. აი მინისტრი, აი კაცი, რომელმაც იცის მინერალური სასუქების ფასი, იცის წარმოების კარგად დაყენება. ასეთ მინისტრთან ჩამოვლენ ადამიანები, და იგი შეძლებს უამბოს და უჩვენოს, თუ რა და როგორ უნდა კეთდებოდეს მიწაზე. ასეთივე მოთხოვნები უნდა წავუყენოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველ მუშაკს.

ამიტომ, ამხანაგო იაბლონსკი, თუ მართლა გიყვართ სოფლის მეურნეობა, თუ გიყვართ თქვენი პროფესია, თქვენც მოგცემენ ბინას იქ, სადაც სამინისტროა, სოფელ მიხაილოვსკოეში, მაშინ აღარ მოგიხდებათ იაროთ მოსკოვში, როგორც წერთ, და ჯანმრთელობას ირყევდეთ გზაში. **(ტაში).**

სოფლის მეურნეობის მეცნიერებას ვერ უხელმძღვანელებ, თუ მიწას დაშორებული ხარ. მოვიყვან ასეთ მაგალითს. რამდენიმე წლის წინათ ამერიკაში ვიყავი. გადაწყვიტეს ჩემთვის ეჩვენებინათ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ამავე დროს სამინისტროს მეცნიერების ხელმძღვანელობის სამმართველოა. სად არის ეს ცენტრი? ვაშინგტონში? არა. იგი მდებარეობს ვაშინგტონიდან რამ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

(გაგრძელება)

შესაძლოა, ეს ასეც იყოს, თუმცა, რა თქმა უნდა, აკადემიის პრეზიდიუმს საექსპერიმენტო მინდვრებშიც შეუძლია შეხვდეს მეცნიერებს. (ტაში).

მეცნიერებას შეუძლია წარმატებით ვითარდებოდეს მოსკოვიდან შორსაც. მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ ცენტრალურ კომიტეტში მოვიდნენ აკადემიკოსი მ. ა. ლავრენტიევი და სხვა მეცნიერები და დააყენეს საკითხი, რომ ციმბირში აგვეშენებინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი. ეს მოსკოვიდან შორს არის, მაგრამ რაოდენ საჭირო იყო იგი ჩვენი ქვეყნისათვის! ციმბირში აუოაცხელი სიმდიდრეა, იგი ხალხის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ. სავსებით აშკარაა, რომ ციმბირში შექმნილი ინსტიტუტები ყველაზე მეტად შეესაბამებიან ამ მიზანს. და მეცნიერები წავიდნენ ციმბირში. ახლა იქ ქალაქი აღმოცენდა. მერე რა ქალაქი, — სამეცნიერო ცენტრი, რომლითაც მთელი ჩვენი ქვეყანა ამაყობს!

სოფლის მეურნეობის მეცნიერების მუშაკები მით უმეტეს უნდა ისწრაფოდნენ მიწისაკენ. როცა არაშავიწაანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის გაცნობა მინდა, მე მივდივარ გორკი ლენინსკიეში ტ. დ. ლისენკოსთან. იქ ბევრი რამ არის სანახავი და მოსასმენი.

რამდენიმე ხნის წინათ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა წავედით ამხ. ლისენკოსთან და რამდენიმე საათი გავატარეთ მის მეურნეობაში, ყანებში, ფერმაში. იქ დიდი სიამოვნება მივიღეთ. მოსკოვის ოლქის მიწაზე, ამ თიხიან ნიადაგზე, ტ. დ. ლისენკოს მოჰყავს 500 ცენტნერამდე შაქრის ჭარხალი, 20-35 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე. აი ეს არის მეცნიერების კონკრეტული გამოყენება მიწათმოქმედებაში! (ტაში).

ამხანაგებო, პარტია და მთავრობა მთელ თავიანთ საქმიანობაში მუდმივად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა ადამიანების სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა საკუთარი ცხოვრების მაგალითით იცის, რომ წლიდან წლამდე ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტი შენდება საცხოვრებელი სახლები, საბავშვო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, მეტი მზადდება ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სახალხო მოხმარების ბევრი სხვა საგანი, უფრო სრულად კმაყოფილდება ადამიანთა კულტურული მოთხოვნილებანი.

ჩვენ ვამაყობთ მონაპოვრებით ამ დარგში. ჩვენში ჯერ კიდევ ყოველთვის სრულად ვერ კმაყოფილდება ადამიანთა მზარდი მოთხოვნილებანი, მაგრამ ჩვენ გვინდა გავაკეთოთ ბევრად უფრო მეტი და ამას შევძლებთ. (ტაში).

ახლანდელი პლენუმის დედაარსი სწორედ ის არის, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარების პრობლემა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება ერთმანეთთან განუხრელად არის დაკავშირებული. მხოლოდ საკმაო მატერიალურ ფასეულობათა შექმნით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით იღებს ჩვენი საზოგადოება შესაძლებლობას თანდათანობით შეამციროს სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასები, გაადიდოს ხელფასი, გაადიდოს გადარიცხვები საზოგადოებრივ ფონდებში.

როცა დგას ხელფასის შეთანასწორების, მომატების საკითხი, მაშინვე წამოიჭრება მეორე საკითხიც — საქონლის მასის, საქონლის რაოდენობის საკითხი. თუ ხელფასის ფონდი მეტი იქნება, ვიდრე საქონლის მასა, წარმოშობა რიგები, აიწევს ფასები, შეიქმნება სხვა მოვლენები, რომლებიც კარგად არის ცნობილი. ჩვენ გადალახეთ წლები, როცა ყველა თითქმის მილიონერი ყო, მაგრამ კოლოფ ასანთი ათასობით მანეთს იხდიდა. ეიტომ, რომ შევათანასწოროთ, გავადიდოთ ხელფასი, საჭიროა რაოდენობით უნდა შევქმნათ საქონლის ფონდი. ყველასათვის ნათელია, რომ საქონლის მასის გადიდება შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე ოგადოებრივი წარმოების ზრდის შედეგია. საჭიროა, თაროები ვეღარ იტევდეს საქონელს, და მაშინ, ორც იტყვიან, ვინდა თუ არა, თუ ხელფასის ფონდი გყოფნის, ესე იგი ხელფასის ფონდი ნაკლებია, ვიდრე საქონლის მასის ფონდი, საჭიროა გადიდდეს ხელფასი ან შემცირდეს საცალო ფასები და ამით ამაღლდეს ოსახლეობის მყიდველობითი უნარი, რათა საქონელი �ებზე კი არ ეწყოს, არამედ მომხმარებელი ყიდულობდეს. ეს ხელსაყრელია ხალხისათვის და ჩვენი სახელმწიფოსათვის. კომუნისტურ პარტიას კი სხვა ინტერესი არა აქვს, გარდა ხალხის ინტერესებისა. (მქუხარე ტაში).

ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია სწორედ იქით წარიმართება, რომ შეიქმნას საქონლის მეტი ოდენობით წარმოების შესაძლებლობანი. თუ ჩვენ ითიოწლობით გავადიდებთ წარმოებას, გამოვუშვებთ ეტ საქონელს, თუ წარმოება მუდმივად გაუსწრებს ხელფასის ფონდს, ეს იქნება ხელფასის შეთანასწორების, ამატების და საცალო ფასების შემცირების სტიმული. ეს ასე არ მოხდა, თუ საქონლის მასა ხელფასის ფონზე ნაკლები იქნა, მაშინ კეთილი სურვილები ვერაფრს მოგვცემს. ეს თვითეულმა წიგნიერმა ადამიანმა ის, ეს იციან მუშებმა, კოლმეურნეებმა, საწარმოთა ელმძღვანელებმა. ეს გასაგებია თუნდაც იმ უბრალო ალითით, რომ ოჯახს არ შეუძლია დახარჯოს იმაზე მეტი, ვიდრე შემოსავალი აქვს. სახელმწიფოში ამ პრობლემის გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, უფრო რთულია, ვიდრე ცალკეულ ოჯახში ან, ვთქვათ, საკოლმეურნეო მეურნეობაში.

ჩვენს სახელმწიფოში ადამიანთა მოთხოვნილებანი აყოფილდება რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ომის ინდივიდუალური ანაზღაურების გზით და საზოგადოებრივი ფონდების საშუალებით, რომლებსაც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი კომუნიზმის ყლორტებს უწოდა.

საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, როგორც ერთი, ისე მეორე ფორმის შეხამების საკითხი მოითხოვს ღრმა შესწავლასა და განხილვას. დაუგეთ მარტო ხელფასის გადიდების გზას, ესე იგი ადამიანის ინდივიდუალური შემოსავლის გადიდების გზას, ან ეზრუნოთ საზოგადოებრივი ფონდების დაგროვებისა და დავაკმაყოფილოთ საჭიროებანი საზოგადოებრივი ფონდების საშუალებით? მაგალითად, საავადმყოფოები, სკოლები, სასწავლებლები ჩვენში ახლაც უფასოა. ესე იგი ხელფასის ფონდიდან ყველა იმათ მაგივრად, ვინც ამ დაწესებულებებს მომსახურებით სარგებლობს. ცნობილია, რომ სახელმწიფოს აქვს სოციალური დაზღვევის ფონდები და ინდივიდუალური პენსიებს.

ორა გზით უნდა ვიაროთ წინ, როცა ვზრუნავთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის? ეჭიროა სწორად შევახამოთ ადამიანთა შრომის მატერიალური ანაზღაურების ორი გზა. შრომის ინდივიდუალური ანაზღაურების, განსაკუთრებით მცირე და საშუალოხელფასიანი მუშაკების შრომის ანაზღაურების ასრიგებასთან ერთად, გადიდდება როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ფონდებისა, რომლებიც ახლა უდიდეს როლს ასრულებენ ჩვენს ქვეყანაში.

ოგრამ, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური ანაზღაურებისა და საზოგადოებრივი ფონდების გადიდებისათვის ვიშრომოთ, ეს ყველას ესმის. არ უნდა მივეცეთ ზებს — რაკი კარგი რეზოლუცია მიიღეს პლენუმზე, ყველაფერი ციურ მანანასავით ჩამოცვივიო. არა, ედ უნდა ვიშრომოთ მატერიალური დოვლათის შეელად.

ოგრამ, ამხანაგებო, ჩვენ არასოდეს არ შეგვშინებია ბისა, არასოდეს არ გავურბოდით შრომას, რადგან შრომაში ვგრძნობდით გამარჯვების ნეტარებასაც და სიტკბოსაც. ჩვენ ვიცით, რომ უშრომლად ვერაფერს ვერ შექმნი! ხალხური ანდაზა ამბობს, თუ ხელი არ გაანძრიე, თავისით არაფერი მოგერთმევაო. (ტაში).

ნათელია ჩვენი ჰორიზონტები, ნათელია პროგრამა, ნათელია გზა, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვსახავთ, ხალხი კი პატივს სცემს თავის პარტიას და, უეჭველია, გაჰყვება პარტიას და ყოველ ღონეს იხმარს, რომ განახორციელოს გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ მივიღებთ. (მქუხარე ტაში).

თუ ვილაპარაკებთ ხელფასის დონის ამაღლებაზე, ვფიქრობ, ამხანაგებო, უწინარეს ყოვლისა ხელფასი უნდა გავუდიდოთ მასწავლებლებსა და ექიმებს. (ტაში). ეს უნდა ვქნათ და არ უნდა დაველოდოთ ქიმიის განვითარების სამუშაოთა პროგრამის შესრულებას. (ტაში). ეს საჭიროა იმიტომ, რომ ექიმებსა და მასწავლებლებს სჭირდებათ ეს და ღირსი არიან ამისა. (ტაში).

დარწმუნებული ვართ, რომ ქიმიური ინდუსტრიის განვითარების პროგრამა შესრულდება. აი რატომ არის, რომ დღესვე შეგვიძლია ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პარტია გამოიყენებს იმ დაგროვებას, რომელსაც ქიმიური მრეწველობისა და სხვა დარგების მრეწველობის განვითარება მოგვცემს, იმისათვის, რომ კვლავაც განვითარდეს ეკონომიკა და ამაღლდეს ხალხის ცხოვრების დონე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სულ უფრო სრულად და მეტად კმაყოფილდებოდეს საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი საზოგადოებრივი ფონდების მეშვეობით, რადგან ეს არის საზოგადოების განვითარების კომუნისტური გზა.

უკვე დღეს უნდა ვიფიქროთ, რა მიმართულებით გაიზრდება, რანაირად განაწილდება ეს საზოგადოებრივი ფონდები.

ვფიქრობთ საქმე უნდა ეხებოდეს, მაგალითად, იმას, რომ საზოგადოების მატერიალური დოვლათის ზრდის კვალობაზე უფასო კვებით უზრუნველყოთ ბავშვები ბაგებსა და საბავშვო ბაღებში, თანდათანობით შემოვიღოთ სკოლებში უფასო საუზმე და სადილი, უფასოდ გავცეთ სკოლის ფორმა, ფეხსაცმელი.

ამრიგად, საზოგადოება, სახელმწიფო იკისრებს მოზარდი თაობის აღზრდის ძირითად ხარჯებს. ხომ უკვე ახლა ჩვენში სწავლება უფასოა. (ტაში).

ბავშვები ჩვენი მომავალია. მაქსიმალური ძალღონე უნდა მოვახმაროთ ბავშვების აღზრდას. (ტაში). რასაც დათესავ, იმას მოიმკი. მოზარდი თაობა მამა-პაპათა — კომუნიზმის მშენებელთა საქმის განმგრძობია. ჩვენ კიდევ ვიმუშავებთ მათთვის, ხოლო გაიზრდებიან ბავშვები და სულ უფრო მეტად და მეტად, პირამდე აავსებენ კომუნისტური სიუხვის თასს. (მქუხარე ტაში).

მოზარდი თაობისათვის საზოგადოებრივი ფონდების განაწილებას უდიდესი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ასეთი მიზნის დასახვა შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს, სადაც ადამიანისათვის ზრუნვა პირველ ადგილზეა.

გარდა იმისა, რომ უშუალო მატერიალური დახმარება გაეწევათ მშობლებს, ამ შემთხვევაში ბავშვები აღზრდებიან, დაიზრდებიან, თავიანთ თავზე იგრძნობენ კომუნისტური საწყისების გავლენას.

ახლა ხომ ერთი ბავშვი ჰყავს ერთ რამეს, ხოლო მეორე უფრო გემრიელ საჭმელს შეექცევა. ბავშვისთვის ზოგჯერ ძნელია იმის გაგება, რატომ ხდება ასე. ხოლო როცა ბავშვებს სკოლაში მიუხედავად მშობლების ხელფასისა გემრიელი და მაწიერი საჭმელი მიეცემათ, — ეს იქნება დიდმნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომზადება კომუნისტურ საზოგადოებაში შესვლისათვის.

მართალია, ამ შემთხვევაში მცირერიცხოვანი ოჯახის პატრონმა ან უცოლშვილომ შეიძლება თქვას: რა გამოვიდა. საზოგადოებრივ ფონდებში ჩვენი წვლილის ხარჯზე მეტს მიიღებენ ის ოჯახები, სადაც მეტი ბავშვებია, და ჩვენ თითქოს ვზარალობთო.

მაგრამ იმან, ვინც დღეს მარტოხელაა ან შვილები არა ჰყავს, უნდა იფიქროს იმაზეც, რომ, როცა მარტოხელა დარჩება მოხუცებულობაში, საზოგადოება იკისრებს მის უზრუნველყოფას.

ხოლო ის მშობლები, რომლებიც დღეს ბევრ შვილს ზრდიან, თუმცა მათ ზოგჯერ უჭირთ, ზრდიან კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ ფასეულობათა მომავალ შემქმნელთ, იმ ფასეულობათა შემქმნელთ, რომლებიც, კერძოდ, მოხმარდება მარტოხელა მოხუცებული ადამიანების უზრუნველყოფას. ისინი, ვინც ათ შვილს ზრდის, მეტს მიიღებენ საზოგადოებრივი ფონდებიდან, მაგრამ მათ ხომ დაეზრდებიან შვილები, და ჩვენს ქვეყანას ექნება კიდევ ოცი მშრომელი ხელი, კომუნიზმის მშენებელთა მშრომელი ხელები! (ტაში).

თუ ეს დებულება ეჭვს იწვევს, მე მზადა ვარ ყოველი დისკუსიისათვის, იმიტომ რომ აქ ჩვენი პოზიციები მტკიცე, კომუნისტურია, ეს არის პოზიციები ხალხის ინტერესებისათვის. (ტაში).

უკვე ამ შვიდ წელიწადში ქიმიის განვითარების შედეგად ჩვენ გვექნება 15 მილიარდი მანეთი მატება. ქიმიური ინდუსტრია ხალხის დოვლათის სამჭედლოა. ჩვენი ფონდები გაიზრდება. მოდით მივეცეთ ფანტაზიას, კიდევ რა მიმართულებით გამოვიყენებთ ამ დოვლათს. თუ არა ფანტაზია, რომელიც დაძყარებული იქნება რეალურ საძირკველზე. შეუძლებელია ცხოვრება. არ უნდა იყო ბრმა თხუნელა, უნდა განჭვრიტო მომავალი, იფიქრო, დასახო შემდგომი გზები. მოვა დრო, მოგვეცემა საშუალება, როცა ჩვენ ჯერ გარკვეული კატეგორიის მუშებისათვის შემოვიღებთ უფასო საუზმეს ქარხნებში, ხოლო შემდეგ სადილს. ეს აგრეთვე განამტკიცებს კომუნიზმის ყლორტებს, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი. (ტაში).

ქიმიური ინდუსტრიის მკვეთრი განვითარების დახმარებით დიდ მატერიალურ ფასეულობათა შექმნა საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ პარტიის პროგრამაში ჩაწერილი სხვა დებულებებიც. (ტაში).

ხაზს ვუსვამ, რომ საზოგადოებრივი ფონდების ზრდა შეხამებული იქნება ხელფასის პირდაპირ ამაღლებასთან, საქონლის ფასების შემცირებასთან. ცხოვრების დონის ამაღლების ხელშემწყობი ყველა ფაქტორი ამოქმედდება, მოხმარდება ხალხის კეთილდღეობას. (ტაში).

ამხანაგებო! ქიმიური მრეწველობის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი მეცნიერებას ეკუთვნის. ქიმია მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური დარგია. ასე თუ ისე იგი ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებაზე.

ვფიქრობ, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ბიოლოგები და სხვა მეცნიერები არ იქნებიან ჩემზე ნაწყენი ქიმიის ასეთი დანასიათებისათვის. ეს ხომ არ ამცირებს მათემატიკოსების თუ ფიზიკოსების მნიშვნელობას, რადგან უმათემატიკოდ, უფიზიკოდ ვერც ერთი მეცნიერება ვერ განვითარდება, რადგან მათემატიკა და ფიზიკა ბევრი მეცნიერების განვითარების საფუძველთა საფუძველია. მაგრამ თანამედროვე ქიმია ისეთი სწრაფი ტემპებით ვითარდება, ისეთი რევოლუციური ცვლილებები შეაქვს სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, რომ მან უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა ჩვენს დროში.

სრული გასაქანი მივცეთ ქიმიურ მეცნიერებას — ეს იმას ნიშნავს, რომ უდიდესი მოგება მივიღოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ტემპებშიც.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყველა საკითხს, რომლებიც უკავშირდება ქიმიური მეცნიერების მიღწევათა რაც შეიძლება მალე გამოყენებას წარმოებაში და ქიმიური მასალების დანერგვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მ. ვ. კელდიშის, აკადემიკოსების ვ. ა. კარგინის, ნ. ნ. სემიონოვის გამოსვლებში დასმული იყო ქიმიური მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და წარმოებასთან მისი უფრო მჭიდრო კავშირის სერიოზული საკითხები. მთავარ ამოცანად უნდა დავსახოთ, რომ ქიმიურ საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში სანიმუშო წესრიგი იყოს. ქიმიურმა წარმოებებმა უნდა მიიღონ ნამდვილი ქიმიურად სუფთა ნივთიერებანი, ყველაზე მაღალხარისხოვანი რეაქტივები და მასალები.

სავსებით ვუჭერ მხარს ჩვენი მეცნიერების წინადადებებს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები უშუალოდ წარმოებაში. როგორც ჩანს, აქ ორგანიზაციულადაც უნდა გავითვალისწინოთ ზოგი რამ, მოვაწესრიგოთ იმ დაწესებულებათა მუშაობა, რომლებიც ქიმიის განვითარების საკითხებზე მუშაობენ. ერთი სიტყვით, უნდა შევქმნათ ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობანი, რათა ცხოვრებაში, ესე იგი წარმოებაში დაინერგოს ყოველივე ახალი, პროგრესული, რასაც ახლა ქიმიური მეცნიერება სახავს.

საჭიროა უფრო გადაჭრით აღმოვფხვრათ ბიუროკრატიული დაბრკოლებანი, თორემ, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი მეცნიერება იმის მეათედ ნაწილსაც ვერ მოგვცემს, რის მოცემაც შეუძლია.

ზოგი ბიუროკრატი ხომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შექმნას ზედმეტი სიძნელეები ახლის გზაზე. ხშირად იგი თითქოს ინსტრუქციითაც მოქმედებს: არ არის პროექტი, არ არის განაცხადი და ასე შემდეგ. ფორმით ის თითქოს მართალია, არსებითად კი ღუპავს ახალ საქმეს.

მეცნიერების ახალ მიღწევათა, ახალი ტექნოლოგიის, ახალი მასალებისა და ნაწარმის საკითხებში საჭიროა გამოვიჩინოთ დაინტერესების, გულისხმიერების მაღალი გრძნობა.

ასეც ხდება, რომ მეცნიერს არა აქვს პროექტი, ფორმის მიხედვით შედგენილი დოკუმენტაცია, მაგრამ ხომ შეიძლება არსებითად გავერკვეთ, არის თუ არა რაციონალური მარცვალი იმაში, რასაც იგი გვთავაზობს, არის თუ არა კარგი იდეა.

თუ იგრძნობა, რომ არის პერსპექტივა, უნდა შევქმნათ პირობები, რომ მეცნიერმა შეძლოს გადააქციოს თავისი მეცნიერული შთანაფიქრი, გაანგარიშებანი რეალობად და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ქიმიური მრეწველობის განვითარებაში, სახალხო მეურნეობაში.

ვფიქრობ, რომ უნდა გადაისინჯოს საპროექტო სამუშაოებისათვის შრომის ანაზღაურების სისტემა. როგორც ჩანს, უნდა ავანაზღაუროთ მუშაობა არა ერთი ფურცელი პროექტისათვის, არამედ მთელი პროექტისათვის. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ მისი ეკონომიური ეფექტი, მეცნიერული და ტექნიკური დოკუმენტაცია.

არის ძალიან ძლიერი ქიმიური რეაქტივები. ისინი ლიტონსაც კი ამოწვავენ. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ პარტიული და სამეურნეო ორგანოები, ჩვენი ქიმიკოსი მეცნიერები, ხატოვნად რომ ვთქვათ, სარგებლობდნენ ასეთი რეაქტივებით და ამოწვავდნენ ბიუროკრატიზმს ჩვენი წრიდან. (გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).

პირველხარისხოვან მნიშვნელობას რომ ვანიჭებთ ქიმიური მრეწველობის განვითარებას, ჩვენ არ უნდა შევანელოთ ყურადღება სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისადმი.

დიდი რეზერვები გვაქვს მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში, ენერგეტიკასა და სხვა დარგებში. მაგალითად, ჩვენი საავიაციო მრეწველობა ჯერ კიდევ სულ ამ ცოტა ხნის წინათ უშვებდა ძრავებს, რომლებიც 500 საათს მუშაობდნენ, მაშინ როცა ინგლისის ძრავები 2200-2500 საათს მუშაობენ.

როცა ჩვენ საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ყურადღება მივაქციეთ ამ ნაკლოვანებებს, მან დარაზმა ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

ადამიანებმა, რომლებიც საავიაციო მოტორების შექმნაზე მუშაობენ, მხურვალედ მოჰკიდეს ხელი საქმეს და შექმნეს საავიაციო ძრავი, რომელმაც გაიარა 6 ათასი საათის გამოცდა.

ახლა თვითმფრინავების საავიაციო ძრავების გამოსადეგობის ვადა 2 ათას საათს აღემატება, ხოლო მალე იქნება 2.500-3.000 საათი. ეს იმ მუშათა და ინჟინერთა კოლექტივის დიდი დამსახურებაა, რომლებიც ასეთ მოტორებს ქმნიან. პატივი და დიდება მათ! (ტაში).

გამოიანგარიშეთ, ამხანაგებო, რამდენი ლითონი, საქარხნო მოწყობილობაა საჭირო, როცა ძრავი 500 საათს მუშაობს, და რამდენია საჭირო, როცა მუშაობის ვადა ორი-სამი ათასი საათია.

მე უკვე ვთქვი, რომ ასეთი შესაძლებლობანი მარტო მოტორმშენებლობაში როდი გვაქვს. ეს შეეხება ყველა მანქანას, მექანიზმს, ხელსაწყოთმშენებლობას.

უნდა გავადიდოთ მომთხოვნელობა, რომ მანქანებს უშვებდნენ კარგს, რაც შეიძლება მსუბუქს წონით, ექსპლოატაციაში უსაშიშროს, უფრო გამძლესა და ეკონომიურს.

საჭიროა ყველაზე მეტი მომთხოვნელობა გამოვიჩინოთ საერთოდ პროდუქციის ხარისხისადმი. როგორც ჩანს, საჭიროა შემოვიღოთ ისეთი წესი, რომ ფაბრიკები და ფირმები პასუხს აგებდნენ თავიანთი პროდუქციის ხარისხისათვის უშუალოდ მომხმარებლის წინაშე, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ საწარმო, ფირმა მუშაობდნენ არა მაღაზიისათვის, არამედ მაღაზიის საშუალებით მომხმარებლისათვის.

თუ ფაბრიკა ან ფირმა თავის ნაწარმს აწოდებს მაღაზიას საქონლის სახით, მაგალითად, ჩითს, შალს, აბრეშუმს ან მზა ტანსაცმელს, მაღაზია მხოლოდ შუამავალია. იგი ჰყიდის საქონელს ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკების დავალებით. თუ ეს ნაწარმი მომხმარებლამდე ვერ მიდის, არ საღდება, ამისათვის პასუხს უნდა აგებდეს არა მარტო მაღაზია, არამედ უმთავრესად ის, ვინც ეს საქონელი გამოუშვა.

ასეთი მდგომარეობა უნდა იყოს სახალხო მოხმარების საქონლის მიმართაც და საქარხნო მოწყობილობის, სხვადასხვა მანქანებისა და ჩარხების, ინსტრუმენტის მიმართაც. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს ისეთი პრინციპი, რომ მომხმარებელს შეეძლოს მოთხოვნები წაუყენოს საქონლის მწარმოებელს, ესე იგი, რომ პასუხს აგებდეს არა შუამავალი, არამედ ის, ვინც ცუდად კერავს, უშვებს ცუდ მოწყობილობას, ინსტრუმენტს და სხვ.

საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას ყველა ზღუდე, რომელთა უკანაც ხშირად იმალება იმ საწარმოთა ბევრი არაკეთილსინდისიერი მუშაკი, რომლებიც ცუდ პროდუქციას უშვებენ. (ტაში).

მინდა აგრეთვე ვთქვა, რომ დიდი ქიმიის განვითარებაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა. მათ ამჟამად ჰყავთ აქტივი, რამდენიმე მილიონი კაცის შემადგენლობით. საჭიროა, რომ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ყველა ორგანო, მათი აქტივი, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ხელშემწყობი ჯგუფები ჩაებან საბრძოლო მუშაობაში, რათა დახმარება გაუწიონ პარტიას ქიმიური მრეწველობის განვითარების უზარმაზარი პროგრამის შესრულებაში, რომელიც მან დასახა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ ყოველდღიური კონტროლი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ნაკლოვანებათა გამოვლინებას, არამედ უწინარეს ყოვლისა მათ თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

ამხანაგებო! ყოველთვის, როცა პარტია და საბჭოთა ხალხი იწყებენ კომუნისტური მშენებლობის დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, ისინი მიმართავენ თავენ კომკავშირს, ყველა საბჭოთა ქალაქსა და ქალაბუკს.

კომკავშირმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ ბევრი მკაფიოდ ფურცელი ჩაწერეს სოციალიზმის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის მატიანეში.

გაიხსენეთ, რა ენთუზიაზმით ქმნიდნენ კომკავშირელები ამურის კომსომოლსკს, აშენებდნენ დნეპრჰესს, გაიხსენეთ საბჭოთა ახალგაზრდობის გმირული შრომა პირველი ხუთწლედების წლებში, კომკავშირის უკვდავი საგმირო საქმენი დიდ სამამულო ომში. (ტაში).

მერე, რა მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენი ახალგაზრდობა პარტიის მოწოდებას ყამირის ათვისების შესახებ! ასეულ ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი გაემგზავრა დაუსახლებელ ტრამალებში, გამოაცოცხლა ისინი.

პარტიამ, საბჭოთა ხალხმა დიდად დააფასეს კომკავშირის, ახალგაზრდობის ეს საგმირო საქმენი. (ტაში).

როცა საქმე ეხება ისეთი გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, როგორიც არის ბრატსკის ან კრასნოიარსკის სადგურები, დიდი ინდუსტრიული გიგანტების აგებას პოლარული წრის იქით, ქვანახშირის შახტების, გაზსადენების, რკინიგზების, ახალი ქალაქების მშენებლობას, — პარტია მიმართავს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს — ახალგაზრდა ლენინელი კომუნისტების სახელოვან კავშირს. და მათ არასოდეს არ უმტყუნიათ პარტიისათვის. ასეც უნდა იყოს. ისინი ხომ ჩვენი შვილები არიან, ისინი ხომ ჩვენი ცვლაა. (მქუხარე ტაში).

ახალგაზრდობა ღირსეულად განაგრძობს რევოლუციურ საქმეს, რომელიც ბოლშევიკების უფროსმა თაობამ დაიწყო.

ქიმიური ქარხნების, სატყეო ქიმიის მშენებლობაშიც ჩვენ, ამხანაგებო, დავეყრდნობით ჩვენს ახალგაზრდობას, რომლის წრეშიც ბევრი შესანიშნავი მუშაკია. ჩვენ უნდა ვაშენოთ ბევრი ქარხანა, კომბინატი ცარიელ ადგილას, უნდა გაეწმინდოთ ციმბირის უღრანი ტყეები. ვინ გააკეთებს ამას? საბჭოთა ადამიანები! ვინ არის უფრო მოძრაული? ვის ხიბლავს ახალი შორეთი, საგმირო გზები? ჩვენს ახალგაზრდობას, კომკავშირელებს!

ჩვენში ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაზე, ჩვენს მოწოდებაზე არ ეპასუხოთ კომკავშირელებს, ახალგაზრდობას ისე, როგორც ჩვენს ცვლას შეჰფერის. ნაცვლად ერთისა, რომელიც გვესაჭიროება, შემოდიოდა ათი განცხადება. (მქუხარე ტაში).

მე წინასწარ ვეუბნები ამხ. პაგლოვს — კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კომკავშირის მთელ ცენტრალურ კომიტეტსა და კომკავშირელებს, ჩვენს ახალგაზრდობას: უთქვენოდ ჩვენ ვერ ავითვისებთ იმ კაპიტალურ დაბანდებებს, რომლებსაც ახლა ვსახავთ. ჩვენ უნდა ავითვისოთ ეს კაპიტალური დაბანდებანი ახალგაზრდობის დახმარებით, რადგან ყველაფერი ეს კეთდება თქვენთვის და ყველაზე მეტად — თქვენთვის! (ხანგრძლივი ტაში).

დღეს ჩვენ კვლავ მივმართავთ ახალგაზრდობასა და კომკავშირს. ამხანაგებო, თქვენ კარგად შრომობთ შვიდწლედის მშენებლობებზე, ქიმიური ინდუსტრიის მშენებლობებზე. პარტიას საჭიროდ მიაჩნია, რომ თქვენ მეტი ძალღონე, მეტი ენერგია მოახმაროთ ქიმიური ინდუსტრიის მშენებლობას.

ქიმიური ობიექტების მშენებლობაზე, ქარხნებში, სადაც მოწყობილობა იქმნება ქიმიური საწარმოებისათვის, ქიმიური ნედლეულის მოსაპოვებელ მაღაროებში, კარიერებში — ყველგან არის ადგილი ახალგაზრდა მუშებისათვის, ტექნიკოსებისათვის, ინჟინრებისათვის. იქ გაივლიან ისინი ნამდვილ შრომითს სკოლას, მიიღებენ საჭირო ცოდნას, შეიძენენ ცხოვრების წრთობას.

ქიმიური საწარმოებისა და მშენებლობების დათვალიერების დროს მე შევხვედრივარ ბევრ ახალგაზრდა სპეციალისტს, ახალგაზრდა მუშას, მაღალი კვალიფიკაციის მუშებს, რომლებიც თუმცა არ გასცილებიან კომკავშირულ ასაკს, მაგრამ საქმე ისე მიჰყავდათ, როგორც სავსებით მომწიფებულ, მცოდნე სპეციალისტებს. ახალგაზრდობა მუშაობს და ამავე დროს სწავლობს. იგი სწავლასა და შრომაში იზრდება, იგი მთლიანად მოძრაობაშია, ფრენაშია! როცა ლისიჩანსკის კომბინატში ვიყავი, იქ ბევრი შესანიშნავი ახალგაზრდა მუშა ვნახე. მე მითხრეს, რომ მთელი კოლექტივის 70 პროცენტზე მეტი ახალგაზრდა მუშები, კომკავშირელები არიან, რომლებსაც საშუალო განათლება აქვთ. ამხანაგებო, ეს უკვე ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ახალი შევსებაა, რომლითაც კანონიერად ვამაყობთ. (ტაში).

ახალგაზრდობა კომუნიზმის დროს იცხოვრებს. ამიტომ მან აქტიურად უნდა აშენოს კომუნისტური საზოგადოების მატერიალური საფუძველი, წინ უნდა იაროს, უფროსების, მამებისა და დედების, ძმებისა და დების მხარდამხარ.

თაობათა პრობლემას, მამებისა და შვილების პრობლემას ხომ მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება წყვეტს მაღალი ზნეობრივი პოზიციებიდან. მამას სურს თავისი დროის ღირსი გაზარდოს შვილი, ხოლო შვილს სურს მამის ღირსი იყოს. (ხანგრძლივი ტაში).

ასე რომ, ამხანაგო კომკავშირელებო, დაიკაპიწეთ მკლავები, ენერგიულად მოჰკიდეთ ხელი კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, ღირსეულად იშრომეთ თქვენი ხალხის საკეთილდღეოდ. (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო, საბჭოთა კავშ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

(დასასრული)

რამდენადაც დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტური სისტემა ცხადყოფს თავის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების ასპარეზზე და დაამარცხებს მას, — ეს კი ისევე გვწამს, როგორც ის, რომ ზამთარს გაზაფხული მოჰყვება, — ამდენად ჩვენ არა ვართ და არც შეიძლება ვიყოთ დაინტერესებული გამალებული შეიარაღებით.

და თუ საბჭოთა კავშირი სრულყოფს თავის თავდაცვას, ახორციელებს ღონისძიებებს ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების — სოციალისტური სახელმწიფოების უშიშროების უზრუნველყოფისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, ჩვენ ასე იმიტომ ვიქცევით, რომ იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ, როცა საქმე გვაქვს შეიარაღებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან, საომარ მზადებასთან აგრესიულ ბლოკებთან.

რა თქმა უნდა, ხელშეკრულების დადება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ, აგრეთვე შეთანხმების მიღწევა დედამიწის გარშემო ორბიტაზე ატომური იარაღით აღჭურვილი ობიექტების გაყვანის აკრძალვის შესახებ კარგი, სასარგებლო საქმეა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

მთავარი ის არის, რომ დავადგეთ ფაქტიური ან, როგორც კიდევ ამბობენ, ფიზიკური განიარაღების გზას და ბოლომდე ვიაროთ ამ გზით.

საბჭოთა კავშირი დღეს ისევე მზად არის ამისათვის, როგორც გუშინ იყო, ხოლო თუ დასავლეთში ვინმეს ეჭვი ეპარება ამაში, რა ვუყოთ, დაე შეამოწმოს ჩვენი გახზრახვების გულწრფელობა. ჩვენ მზად ვართ დაუყოვხებლივ დავდოთ შეთანხმება განიარაღების შესახებ და განვახორციელოთ იგი.

არც ისე დიდი ხნის წინათ საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოების მოლაპარაკებაზე განვიხილავდით დიდი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების რიცხვისა და შეიარაღების შემცირების საკითხს. რა გამოირკვა ამ განხილვის შედეგად? აი რა გამოირკვა. როცა საქმე იმას ეხებოდა, რომ, ერთი მხრივ, შეგვემცირებინა საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულებით მისი მოკავშირეების შეიარაღებული ძალების რიცხვი და შეიარაღება და, მეორე მხრივ, დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისა და მათი ნატოელი მოკავშირეების შეიარაღებული ძალების რიცხვი და შეიარაღება, ჩვენ განუწყვეტლივ მიგვითითებდნენ იმაზე, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს თითქოს არ შეუძლიათ რამდენადმე არსებითად შეამცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და შეიარაღება უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს დიდი უპირატესობა აქვთ სწორედ შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების რაოდენობით.

აქვე აცხადებდნენ, რომ ამის გამო დასავლეთის სახელმწიფოებმა ატომური იარაღი უნდა შეინარჩუნონ და გააძლიერონ, რათა გაუწონასწორონ თავიანთი შეიარაღებული ძალების ძლიერება ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალების ძლიერებას. და ამას მაშინ ამბობდნენ, როცა საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლეოდა, — და ამ წინადადებას ახლაც ვიძლევით — შევთანხმებულვიყავით იმაზე, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების რიცხვი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რიცხვის ტოლი ყოფილიყო.

მაშინვე განვიხილეთ უცხოეთის იმ ჯარების რიცხვის შემცირების საკითხი, რომლებიც განლაგებული არიან ორივე გერმანული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და საერთოდ, უცხოეთის ჯარებისა ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. ჩვენ მოვითხოვდით უცხოეთის ჯარების შემცირებას ევროპაში და მათ გაყვანას შესაბამისი სახელმწიფოების ეროვნული საზღვრების ფარგლებში.

მაგალითად. ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით შეგვემცირებინა უცხოეთის ჯარების რაოდენობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ერთი მესამედით ან სხვა შეთანხმებული ოდენობით. ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით ყოველივე ამისადმი დაწესებულიყო სათანადო კონტროლი. მაგრამ მოლაპარაკებაში ჩვენმა პარტნიორებმა ყურად არ იღეს ეს ჩვენი წინადადებანი.

ჩვენთვის მაშინაც სავსებით ნათელი იყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოების უარი შევთანხმებულვიყავით ასეთ საფუძველზე იმას მოწმობდა, რომ მათ არა სურდათ რაიმე შეთანხმება შეიარაღებული ძალების რიცხვისა და შეიარაღების რაოდენობის შემცირების შესახებ

იმან, რაც შემდეგ მოხდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს. უკანასკნელ ხანებში დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებს არაერთგზის განუცხადებიათ, რომ ახლა არა საბჭოთა კავშირს, არა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს, არამედ ნატოს ქვეყნებს უფრო მეტი ჯარისკაცი ჰყავთ და უფრო მეტი ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღება აქვთ. ასეთი განცხადება სულ ცოტა ხნის წინათ გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რ. მაკნამარამ.

მაგრამ თუ დასავლეთის სახელმწიფოები ახლა ასეთი აზრისა არიან, მაშინ, თითქოს, აღარ არის ის საბაბი, — სწორედ რომ საბაბი და არა სხვა რამ, — რომლითაც ისინი მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდნენ გაემართლებინათ ის, რომ არ სურთ საბჭოთა კავშირთან და მის მოკავშირეებთან შეთანხმება შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ.

ბატონებო, ხომ მიგაჩნიათ, რომ ნატოს ჯარების რიცხვი მეტია, ვიდრე ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისა? მაშ რატომ არის, რომ ახლაც არა გსურთ შეთანხმება შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ? რატომ არა გსურთ ახლაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიებზე განლაგებული უცხოეთის ჯარების შემცირება? საბჭოთა კავშირი ხომ დღესაც გთავაზობთ ამას. ასეთი შემცირება დიდად შეანელებდა დაძაბულობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში. გარდა ამისა, და მთავარი ეს არის, ეს იქნებოდა მომზადება განიარაღების პრობლემის კარდინალური გადაწყვეტისათვის, სხვათა ტერიტორიებიდან უცხოეთის ჯარების სრული გაყვანისათვის ეროვნული საზღვრების ფარგლებში, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

როცა ვლაპარაკობთ შეიარაღებული ძალების რიცხვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ, მათ შორის ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე უცხოეთის ჯარების რიცხვის შემცირების შესახებ, მხედველობაში არა გვაქვს ზიანი მივაყენოთ რომელიმე ქვეყანას. ჩვენ იმას ვეყრდნობით, რომ ამის განხორციელება შესაძლებელია იმ სახელმწიფოთა ძალების თანაფარდობის დაურღვევლად, რომლებიც ორივე დაჯგუფებას — ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებას ეკუთვნიან.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ, ისევე როგორც წინათ, მოვითხოვთ დამყარდეს კონტროლი ყველა ამ ნაბიჯის განხორციელებისადმი. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ჩვენ მოვითხოვთ საკონტროლო საგუშაგოები შეიქმნას ორივე დაჯგუფების წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. იმ მიზნით, რომ ხელი შევუშალოთ შეიარაღებული ძალების ფარულ კონცენტრაციას და თავიდან ავიცილოთ უეცარი თავდასხმა.

აი ჩვენი ნათელი და კონკრეტული პროგრამა. მისი შესრულების შედეგად მოიგებს ორივე მხარე, მოიგებს მშვიდობის საქმე საერთოდ. **(ტაში).**

ამ ნაბიჯებისადმი წინააღმდეგობას ვერ მოვუნახავთ რაიმე გამართლებას, თუ ვემხრობით დაძაბულობის შენელებას, მშვიდობას.

შეიძლება, რა თქმა უნდა, ვიმსჯელოთ იმაზე, ვისა ჰყავს ახლა მეტი ბატალიონები, პოლკები, დივიზიები, და შესაბამისი გაანგარიშებანიც კი ვაწარმოოთ ელექტრონული მანქანების საშუალებით, როგორც ეს, ამბობენ, მიღებულია ახლა პენტაგონში. მაგრამ ჩვენ ნაპოლეონის დროს როდი ვცხოვრობთ, როცა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ძლიერება განისაზღვრებოდა ათასობით ხიშტითა და ხმლით. ახლა სხვა საუკუნეა — საუკუნე ატომური იარაღისა, რომელსაც უმაგალითო დამანგრეველი ძალა აქვს.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ახალ შეფასებას აძლევს ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების შეიარაღებული ძალების რიცხვის თანაფარდობას ახლა ზოგიერთი დასავლეთგერმანელი მოღვაწე, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი ჰასელი, რომელიც ამასთან ტრაბახობს კიდევაც იმით, რომ დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერი ყველაზე დიდი არმიაა ნატოში ამერიკის არმიის შემდეგ. ისმენ ასეთ სიტყვებს და უნებლიედ ფიქრობ, რომ ზოგიერთ ვინმეს ცოტა რამ ასწავლა ისტორიამ.

გერმანიაში უკვე იყვნენ ადამიანები, რომლებიც გაჰყვიროდნენ გერმანული იარაღის ძლიერების შესახებ, გერმანელებს ჰპირდებოდნენ იოლ გამარჯვებებს, მსოფლიოში ბატონობას. ხოლო რა მოუტანეს მათ გერმანელებს? მილიონობით და მილიონობით საფლავი. ჰიტლერული რაიხი დაემხო, და მის ნამსხვრევებზე შეიქმნა ორი გერმანული სახელმწიფო, რომელთაგან ერთი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ დაადგა მშვიდობისა და სოციალიზმის გზას. **(ტაში).**

საბჭოთა ადამიანები მშვიდობიანი ადამიანები არიან. ჩვენ ვასრულებთ გრანდიოზულ შემოქმედებითს გეგმებს. მაგრამ ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ ისინი, ვინც სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაში იმედს ამყარებს იარაღის ძალაზე, ვინც მოწამლულია რევანშისტული ფსიქოზით: დღე, როცა ისინი გაბედავენ აგრესიის განხორციელებას, მათი უკანასკნელი დღე იქნება **(ტაში).** საბჭოთა კავშირს აქვს ყოველივე საჭირო და საკმარისი რაოდენობითაც, რომ ალაგმოს ყოველი აგრესორი, უზრუნველყოს ჩვენი ხალხის, სოციალისტური ქვეყნების ხალხთა უშიშროება. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ, ვიმეორებ, საბჭოთა კავშირის წინადადებაა გაიმართოს შეჯიბრება არა ომისათვის მზადებაში არამედ მშვიდობის ასპარეზზე. ჩვენ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგი ვართ და არ გვინდა ნათი გადავასხათ ცეცხლს. საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ არის უფრო რეალური მიდგომა იმისადმი, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ერთ პლანეტაზე სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოებმა. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ამის შეგნება გაიმარჯვებს დასავლეთის სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეებშიც და ისინი დაემორჩილებიან დროის მოთხოვნას, ხალხთა მოთხოვნას — დაიწყონ განიარაღება.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი არ შეანელებს ღონისძიებებს ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში.

მინდა მოვახსენო ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ ახლა განვიხილავთ შესაძლებლობას, რომ კიდევ რამდენადმე შევამციროთ ჩვენი შეიარაღებული ძალების რიცხვი.

მხედველობაში გვაქვს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიაზე შევიტანოთ წინადადება, რომ რამდენადმე შევამციროთ მომავალი — 1964 წლის ბიუჯეტის სამხედრო მუხლების ხარჯები.

ეს ჩვენი მშვიდობისმოყვარული აქციები საბჭოთა სახელმწიფოს ახალი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების იმ პროცესში, რომელსაც ბიძგი მისცა ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის ხელშეკრულების დადებამ. **(ტაში).**

შეხედეთ, ვეუბნებით ყველას, საბჭოთა კავშირი არა მარტო მოითხოვს იმ ღონისძიებათა გაძლიერებას, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, არამედ განამტკიცებს კიდევაც თავის მზადყოფნას ამისათვის სერიოზულ გადაწყვეტილებათა მიღებით, მნიშვნელოვანი პრაქტიკული საქმეებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობის მიზანი ის არის, რომ უზრუნველყოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარების მშვიდობიანი პირობები და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად იხსნას კაცობრიობა მსოფლიო გამანადგურებელი ომისაგან. ასეა ჩაწერილი ჩვენი პარტიის პროგრამაში, და საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა თავიდან აიცილოს ომის საფრთხე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი გეგმები მშვიდობიანი მშენებლობის გეგმებია. ჩვენ მოვუწოდებდით წინათ დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეებს და დღესაც მივმართავთ — მოდით ჩვენი ღონისძიებანი მოვახმაროთ არა გამალებულ შეიარაღებას, არა იმას, რომ დახვავდეს იარაღის ახალ-ახალი გროვები, არამედ მშვიდობიან შეჯიბრებას, განიარაღებას, მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრას მოლაპარაკების გზით.

სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ერთადერთი გონივრული კურსია ჩვენს დროში, რომლის განხორციელებასაც მუდამ მოითხოვდა და მოითხოვს საბჭოთა კავშირი. **(ტაში).**

ახლა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მილიტარისტული წრეები ისევ ძაბავენ ვითარებას და ამწვავებენ ატმოსფეროს კუბის რესპუბლიკის გარშემო. იშვიათია ისეთი დღე, რომ რომელიმე ამერიკელი „ცოფიანი“ არ მოითხოვდეს უფრო მკაცრი პოლიტიკის განხორციელებას კუბის მიმართ და, როგორც ისინი ამბობენ ხოლმე, „კომუნისტური საფრთხის“ ლიკვიდაციას დასავლეთ ნახევარსფეროში.

სულ უფრო აშკარა და ჯიუტი ხდება ცდები შეაკოწიწონ ამერიკის კონტინენტის რეაქციის ძალთა ერთიანი ფრონტი რევოლუციური კუბის წინააღმდეგ, რისთვისაც, პირველ რიგში, იყენებენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მექანიზმს.

კვლავ ცდილობენ მთელი ეს პროვოკაციული ხრიკები იმით გაამართლონ, რომ კუბა თითქოს ემუქრებოდეს ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს. ამის დასამტკიცებლად იყენებენ ვერსიას, თითქოს ვენესუელაში ეპოვნოთ რაღაც იარაღი, რომელიც კუბიდან შეეტანოთ იქ.

მაგრამ ეს მზვერავთა და აგრესორთა ძველი ფანდია. როგორც მრავალი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, არ არის საჭირო დიდი შრომა იმათთვის, ვინც იარაღს „პოულობს“. ისინი ჩვეულებრივ პოულობენ იმას, რასაც თვითონ დებენ. ახლა კი ამის გარშემო აურზაურს ტეხენ და ვნებათა ღელვას აღვივებენ. როგორც ნათქვამია, კუბას ბრალად სდებენ ყველა მომაკვდინებელ ცოდვას.

თუ ნამდვილად ვესწრაფვით ვითარების გაჯანსაღებას კარიბის ზღვის რაიონში, ურთიერთობის ნორმალიზაციას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის, ხელი უნდა მოვკიდოთ რეალური ფაქტების, და არა დაზვერვათა მონაჟორების გამოძიებას.

მაგალითად, რა უფლებით და ვინ გაგზავნა ამას წინათ კუბაში გემი „რექსი“, რომელშიც იყო იარაღი და იყვნენ დივერსანტები, რომლებიც დანაშაულის ადგილზე შეიპყრო კუბის სანაპირო დაცვამ? ვინ აფინანსებს, ვინ ამზადებს და გზავნის დივერსანტებს კუბაში?

აი რა საკითხებზე უნდა ვიმუშაოთ, იმიტომ რომ ასეთი მეკობრული თავდასხმები ნამდვილად წამლავენ საერთაშორისო ატმოსფეროს და საფრთხეს უქმნიან მშვიდობას. **(ტაში).**

მინდა პირდაპირ ვთქვა: ბატონო აგრესორებო, ნუ აჟღარუნებთ იარაღს, ნუ ეთამაშებით ცეცხლს! ნათლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ გამწვავდება დაძაბულობა და საფრთხე შეექმნება კუბას, ამან არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

კუბის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფა იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მეტად უხეში დარღვევა, ჩარევა რევოლუციური კუბის საშინაო საქმეებში, აგრესია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთი აგრესია შეეხებოდა ყველა ქვეყანას. მათ შორის საბჭოთა კავშირსაც.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირს აქვს გარკვეული ვალდებულებანი კუბის მომმე რესპუბლიკის მიმართ. ჩვენ არაერთგზის გახვიცხადებია და კვლავ ვაცხადებთ, რომ რევოლუციურ კუბას უთუოდ ეყოლება დამცველი, თუ მას თავს დაესხმიან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მილიტარისტული წრეები. **(ტაში).**

ის, ვინც ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების „ცოფიანთა“ ნებაზე ივლიდა და ჩაებმებოდა საშიშ ავანტიურებში კუბის წინააღმდეგ, გადადგამდა ნაბიჯს, რომელიც ეწინააღმდეგება არა მარტო თვით ლათინური ამერიკის ქვეყნების ძირეულ ინტერესებს, არამედ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებსაც. **(ტაში).**

ეს საშიში გზაა, იგი აგვაცდენდა მშვიდობიან თანაარსებობას — სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთადერთ შესაძლო და გონივრულ ფორმას ჩვენს დროში. პატივისცემა და ერთხელ კიდევ პატივისცემა ყველა ქვეყნის — დიდი და პატარა ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტისა, ჩაურევლობა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში — აი ყველაზე ელემენტარული პირობა, თავიდან რომ ავიცილოთ საშხედრო კონფლიქტები და შევქმნათ სახელმწიფოთა შორის ნდობისა და თანამშრომლობის ვითარება. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირი გადაჭრით და თანმიმდევრულად იცავს სწორედ ამ პრინციპებს. ჩვენ მივესალმებოდით და მივესალმებით რევოლუციური კუბის მთავრობის მისწრაფებას მოაწესრიგოს თავისი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ჩვენ ვგმობთ აგრესიას, რომელსაც ამერიკის იმპერიალისტები აწარმოებენ სამხრეთ ვიეტნამში. ჩვენი სიმპათიები სამხრეთ ვიეტნამის მამაცი პატრიოტების მხარეზეა, რომლებიც იბრძვიან თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისათვის. **(ტაში).**

ჩვენ ვვჯერა, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხალხი, რომელიც მართალი საქმისათვის იბრძვის, გაიმარჯვებს! **(ტაში).**

უკანასკნელ თვეებში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა საერთაშორისო დაძაბულობის შეხენებისათვის, საფუძველი ჩაეყარა სადავო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას მოლაპარაკების გზით.

კაცობრიობის ინტერესები მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფო, და უწინარეს ყოვლისა დიდი სახელმწიფოები, დაადგნენ ამ გზას, აღმოფხვრან ყველაფერი, რაც ხელს უშლის სახელმწიფოებსა და ხალხებს იცხოვრონ მშვიდობითა და მეგობრობით.

გვინდა გვჯეროდეს, რომ საღი ძალები ამერიკის შეერთებულ შტატებში — ისინი, ვინც რეალისტურად მსჯელობს და ესმის, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება მათს ქვეყანას მსოფლიოს ბედისათვის, გამოიჩენენ ნებისყოფას და გამონახავენ საშუალებებს, რომ ალაგმონ აგრესიული მილიტარისტული წრეები — „ცოფიანები“, რათა თავიდან აიცილონ საშიში განვითარება მოვლენებისა, რომლებშიც უცილობლად ჩაებმებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე როგორც სხვა ქვეყნები.

მინდა მოვიყვანო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დ. რასკის შემდეგი აზრი მისი სიტყვიდან ფერმერთა ეროვნული კავშირის კრებაზე 10 დეკემბერს:

„როცა ბავშვი ვიყავი, ჩვენ უშიშრად ვგრძნობდით თავს ჩვენს კონტინენტზე, რომელსაც ოკეანეები იცავენ. ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია უშიშრად ვგრძნობდეთ თავს ჩვენი პლანეტის დანარჩენი ნაწილისგან განცალკევებით, საკონტინენტთაშორისო რაკეტებისა და თერმობირთვული მუხტების დროში ვერ ... ვერ ... ვერ ... ვაგრძნოთ თავი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროება იქნება მთელ ჩვენს გარემოცვაში. მთელ ჩვენს გარემოცვად ახლა ვგულისხმობთ არა მარტო ხმელეთს, წყლის სივრცეებსა და დედამიწის ჰაერს, არამედ მათ მიმიჯნავე კოსმოსური სივრცის რაიონებსაც — იმ საზღვრებამდე, სადამდისაც თვით ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ან სადაც შეუძლია აიტანოს მის მიერ შექმნილი ხელსაწყოები“.

ცუდად არ არის ნათქვამი. შეიძლება მხოლოდ ვისურვოთ, რომ მეტი იყოს ასეთი მსჯელობანი, და რაც მთავარია, ასეთ განცხადებებს განამტკიცებდნენ შესაბამისი მოქმედებით.

სახელმწიფო მოღვაწეებს, რასაკვირველია, არა მარტო სწორად უნდა ესმოდეთ და აფასებდნენ დროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არამედ სწორი დასკვნებიც უნდა გამოეტანოთ აქედან.

რამდენადაც აგრესიულ მილიტარისტულ წრეებს — „ცოფიანებს“ სურთ ატეხონ ომი კუბის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ატეხონ მსოფლიო ომი, მშვიდობის შენარჩუნებისათვის საჭიროა, სანამ გვიან არ არის, რომ მათ ჩავაცვათ დამაწყნარებელი პერანგი. ეს იქნება სწორედ თანამიმდევრულობა მსოფლიოს მდგომარეობის შეფასებაში და მოქმედებაში, თანმიმდევრულობა სიტყვასა და საქმეში. **(ტაში).**

ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ნათელი და თანმიმდევრულია. ჩვენ ვაკეთებთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა განვითარდეს და განმტკიცდეს. ვახორციელებთ რა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ვეცდებით განვამტკიცოთ საყოველთაო მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა, განვამტკიცოთ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერება და უშიშროება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა კვლავაც განახორციელებენ ამ საგარეო პოლიტიკას, რადგან იციან, რომ ამ პოლიტიკას მხარს უჭერს მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პლენუმი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს კომუნისტურ მშენებლობაში. პლენუმის გადაწყვეტილებებს, ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, მაგრად უნდა ვიმუშაოთ, რათა განვახორციელოთ დასახული პროგრამა. ამისათვის კი ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. გვაქვს საჭირო მატერიალური შესაძლებლობანი, გვაქვს მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა, გვყავს ინჟინრებისა და ტექნიკოსების კადრები, გვაქვს მძლავრი ძალა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს წინ, სულ წინ, — ეს არის გმირი მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა.

ყველაფერი გვაქვს, ამხანაგებო, მხოლოდ საჭიროა უნარიანად წარვმართოთ მუშაობა, და მაშინ ჩვენ ნამდვილად მივაღწევთ ისეთ ჰორიზონტს, ისეთ სიმაღლეებს, როგორზეც ჯერ კიდევ არასოდეს არ ასულა ჩვენი ქვეყანა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი კომუნისტური საზოგადოება უზრუნველყოფს ისეთ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნას, რომლებიც კიდევ უფრო მიმზიდველი იქნება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებისათვის, მათ შორის ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებისთვისაც.

კაპიტალისტური სამყაროს იდეოლოგები ხშირად იკვეხნიან, მაგალითად, ისეთ სახელმწიფოთა მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები. მაგრამ მათ აშინებთ, რომ საბჭოთა კავშირი, სოციალიზმის სხვა ქვეყნები, რომელთა ხალხებმა მოიშორეს კაპიტალისტური ჩაგვრის ბორკილი და სწრაფი ტემპებით ეწევიან და კიდევაც გაუსწრებენ ეკონომიური განვითარების დონით ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს! შორს აღარ არის ის დრო, როცა საბჭოთა ხალხი გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდება თავისი ეკონომიური განვითარებით.

მუშათა კლასი, ყველა ქვეყნის ხალხთა მასები, კომუნისტთა, ხალხის საქმისათვის უშიშარ მებრძოლთა მაგალითით შთაგონებულნი, უფრო გაბედულად ჩადგებიან კომუნიზმის მომხრეთა რიგებში, იბრძოლებენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავიანთ ქვეყნებში. და ისინი უთუოდ გაიმარჯვებენ ამ სამართლიან ბრძოლაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგებო! მე ვამთავრებ ჩემს სიტყვას. ჩვენი პარტიის დიდი დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასი, ხალხი პარტიის პოლიტიკას, მის მოღვაწეებს აფასებენ არა სიტყვიერი დაპირებების, არამედ კონკრეტული საქმეების მიხედვით.

ჩვენს ქვეყანაში კი საქმე წარმატებით მიდის. ჩვენ გულდაჯერებით მივდივართ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, და ვერავინ ვერ შეაჩერებს ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას. **(მქუხარე ტაში).**

წინ, ამხანაგებო, ლენინის დროშით, იმ გზით, რომელიც დასახულია ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, — კომუნიზმის მშენებლობის გზით! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**



დარგაზოგა თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ თეთრ სახლში დარბაზობა გამართა ვაშინგტონში აკრედიტებული უცხოეთის 112 დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურებისათვის. გამოვიდა რა დარბაზობაზე, ლ. ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „თავიანთ სრულ წვლილს შეიტანენ მშვიდობის, კეთილმოსურნეობისა და პროგრესის საქმეში“.

პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მსოფლიოში ხდება ცვლილება — „საშიში ციკი ომიდან უფრო მყარ და უფრო მშვიდობიან მდგომარეობაში“ გადასვლა.

ამავე დროს მან ხაზი გაუსვა, რომ ესა და სხვა ცვლილებები ავტომატურად როდი ხდება, რომ „ყველაფერი მოითხოვს დროს, ყველაფერი შეიძლება დაირღვეს, ყველაფერმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მშვიდობას“.

ჯონსონმა აღნიშნა, რომ ცვლილებები, რომლებიც ახლა ხდება, ვერ მოიტანს ნაყოფს, „თუ არ დავეთანხმეთ იმ ფაქტს, რომ ჩვენ დიდად ვართ ერთმანეთზე დამოკიდებული“. მისი სიტყვით, ყველა ქვეყანამ უნდა შეასრულოს თავისი როლი, „რათა უზრუნველყოს, რომ ეს დიდი ისტორიული ცვლილებები მიმდინარეობდეს მშვიდობიან პირობებში“.

ამისათვის, თქვა მან, „ჩვენ ერთმანეთს უნდა ველაპარაკოთ გულახდილად... ვეცადოთ, რომ გავიგოთ ერთმანეთის პრობლემები... ვიყოთ ფხიზელნი საფრთხის კერების მიმართ, და ასევე ყურადღებიანი იმ საკითხებისადმი, რომლებშიც საერთო ინტერესებია. დიდსა და მცირე საქმეებში ჩვენ უნდა ერთად ვიაროთ წინ. არც ერთ ჩვენგანს არა აქვს სხვა გზა ამ პატარა პლანეტაზე“.

ჯეროვნად მიუზღო რა ჯონ ფ. კენედის, ჯონსონმა განაცხადა, რომ განსვენებული პრეზიდენტი იყო „სიმბოლო იმედის, დაპირების და პროგრესისა თავისუფლების, მშვიდობისა და ყველასათვის უკეთესი ცხოვრების გზაზე“. კენედის სახელი, თქვა მან, მოითხოვს „ახალ ერთგულებას“ ამ მიზნებისადმი.

ნიუ-იორკი, 13 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ბეტრუსენკო გადმოგვცემს: ჯონ კენედის ავიაბაკურად მოკვლის სამი კვირის შემდეგ ამერიკის საზოგადოებრიობას პრეზიდენტზე თავდასხმის გარემოებებთან დაკავშირებული ბევრი დაურკვეველი საკითხი რჩება. მაგრამ დამახასიათებელია, რომ უკანასკნელ დღეებში გაზეთების ფურცლებზე მკვეთრად შემცირდა „საუკეთესო ნომერი“ ... ...